# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.


პარასკევი, 18 თებერვალი, 2011 წელი.

№32 (6644)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.






70

ნიკო მუსხელიშვილი

120

თამაზ გამყრელიძე:

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და მისი პირველი პრეზიდენტი

③

დედაქალაქი ხელისგულზე

## დაუბრუნეთ არქიტექტურა არქიტექტორებს!

⑤



## რუსეთი და საქართველო: რა ხდება?



⑦

## ვაშინგტონი შუა აზიისა და კავკასიისთვის დახმარებას ამცირებს

⑧

ტრანსპორტი

## ოთხი პატრონის ერთი „მეწველი ძროხა“

⑨



## კონცეფცია ექვსი წლისა და ერთი ომის შემდეგ




⑥

## „სააკაშვილი ცდილობს, შეგვაგუოს, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო აღარასდროს იქნება საქართველოს ნაწილი“

## ნოღაიდელი ბიზნესმენების დაცვას აპირებს, მაგრამ რაღა დროს?!

## პოლიციელს უფლებამოსილების გადამეტებისკენ კანონი უბიძგებს

②

## სადაზღვევო სისტემა კორუფციის ბუდედ იქცევა

## ოპოზიცია

# „სააკაშვილი ცდილობს შეგვაგუოს, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო არასდროს იქნება საქართველოს ნაწილი“



**„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გამოცემა „ინდიფენდენტისთვის“ მიცემულ ინტერვიუს გამოეხმაურა.**

**ბურჯანაძის თქმით, სააკაშვილი კიდევ ერთხელ ცდილობს შეაჩვიოს ქართველი ხალხი, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო არასდროს იქნება საქართველოს ნაწილი.**

„ბრიტანულ გამოცემა „ინდიფენდენტში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს მოიხსენიებს შემდეგი ფრაზებით: „ტერიტორია, რომელიც რუსეთმა დაიკავა, არის „ქვების გროვა“, რომელსაც ნულოვანი ღირებულება აქვს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მას შეტევისთვის (რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ) არ გამოიყენებენ“. დიახ, საქართველოს პრეზიდენტისთვის აფხაზეთი და სამაჩაბლო „ქვების გროვაა“. მისთვის ჩვენი სამშობლო არის „ქვების გროვა“. ეს არის პრეზიდენტი, რომელიც ცდილობს შეგვაგუოს, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო არასოდეს იქნება საქართველოს ნაწილი“, — განაცხადა ბურჯანაძემ პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე.

ბურჯანაძის განცხადებით, „დემოკრატიული მოძრაობა“ სააკაშვილისგან მოითხოვს, სასწრაფოდ განუმარტოს საქართველოს მოსახლეობას, ქართველ, აფხაზ და ოს ხალხებს, რა არის მისთვის ფასეული, რა არის მისთვის სამშობლო, თუ აფხაზეთი და სამაჩაბლო „ქვების გროვაა“.

„გვიპასუხოს სააკაშვილმა, საქართველოს კიდევ რომელი ნაწილები მიაჩნია „ქვების გროვად“ და რომელი ნაწილების გასხვისებას აპირებს. თუმცა ნათელია, რომ მისთვის სამშობლო მხოლოდ ავლაბრის რეზიდენციაა“, — აღნიშნავს ბურჯანაძე.

ბურჯანაძე ქვეყნის მოსახლეობას მიმართავს უგზავნის, რომ სანამ სააკაშვილს მთელი საქართველო მართლაც „ქვების გროვად“ არ უქცევია, ამოიღოს ხმა და დაანახონ მსოფლიოს, რომ ქართველი ერი ღირსეული ერია.

„მივმართავ ომში დაღუპული ჩვენი ჯარისკაცების დედებს, მოსთხოვეთ პასუხი პრეზიდენტს — რატომ გაწირა ჩვენი ბიჭები თუ მიიჩნევდა, რომ სამაჩაბლო „ქვების გროვა იყო“, — დასძენს „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი.

# პრეზიდენტმა უმაღლესი ტრიბუნიდან მორიგი ტყუილი გვამცნო

**„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ პრეზიდენტ სააკაშვილის პარლამენტში გამოსვლა შეაფასა. მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს მოსახლეობას ქვეყნის უმაღლესი ტრიბუნიდან 2015 წლისთვის ქვეყნის გაბრწყინების შესახებ მორიგი ტყუილი ამცნო.**

„სააკაშვილს არ უსაუბრია, როგორ აპირებს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემის მოგვარებას. მეტიც, მან სიამაყით განაცხადა, რომ დევნილები ფოთის, წყალტუბოს, ქუთაისის, ანაკლიის განუყოფელი ნაწილები უნდა გახდნენ და არა აფხაზეთისა და სამაჩაბლოსი. დემოკრატიულ მოძრაობას არაერთხელ განუცხადებია, რომ სააკაშვილმა თავადაც კარგად იცის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსი რომ არ აქვს, განუცხადებია, რომ მან ხელისუფლების შენარჩუნების სანაცვლოდ უარი თქვა აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე“, — განაცხადა ბურჯანაძემ პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე.

„პირველი“

## ინფორმაცია

### ევროპა მზადაა, რუსეთს სანქციები დაუწესოს

**ამის შესახებ საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ ევროპარლამენტის მიერ რუსეთის წინააღმდეგ შესაძლოა სანქციებზე მსჯელობის შეფასებისას აღნიშნა.**

**— მიუხედავად ცალკეული დეპუტატების ან ჯგუფების მოწოდებისა, დღეს პოლიტიკური კონიუნქტურაა მთელს მსოფლიოსა და ევროპაში, რომ რუსეთის ფედერაციის მიმართულებით ვინმე რაიმე გადამწყვეტ ნაბიჯებს არ გადადგამს, — აღნიშნა თარგამაძემ.**

**მისივე შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი მკაცრად ექცევა ისეთ ქვეყნებს, რომლებიც მასთან თანამშრომლობის კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებენ, თუმცა რუსეთი მიუხედავად საერთაშორისო რეზოლუციების შესრულებაზე უარის თქმისა, იგი მსოფლიოში მაინც სტრატეგიულ მოთამაშედ რჩება.**

**— რუსეთი მაინც რუსეთია, რადგან ის ევროკავშირის ენერგომომარაგებაში ძალიან დიდ როლს თამაშობს, რუსეთი მნიშვნელოვანი პარტნიორია ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო გაეროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებაში, რუსეთი მნიშვნელოვანი მოთამაშეა ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიაში ჩრდილოეთ კორეასთან ურთიერთობის კონტექსტში და ავღანეთის ოპერაციების განხორციელებაში. ამიტომ ევროპარლამენტში ხშირად იქნება ასეთი მოწოდებები, თუმცა მასზე არანაირი სანქცია არ დაწესდება, — დასძინა დეპუტატმა.**

### ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციის საკითხს იაპონიაში განიხილავენ

**ამის შესახებ პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარე შოთა მალაშხიამ იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში, მასაიოში კამოჰარასთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.**

**— ჩვენ განვიხილეთ იაპონიის პარლამენტში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხის განხილვის შესაძლებლობები. ეს ეხება ისეთივე რეზოლუციების მიღებას ოკუპაციასთან დაკავშირებით, როგორიც რამდენიმე ევროპულმა ქვეყანამ, ევროკავშირმა მიიღო, ასევე რის მიღებასაც აპირებს ამერიკის კონგრესი, — აღნიშნა მალაშხიამ.**

ჯი-ეიჩ-ენი

## საგადასახადო ომბუდსმენი

**როცა ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაზე იწყება მსჯელობა, სხვა უამრავ ფაქტორთან ერთად, მთავარია ის საგადასახადო კოდექსი, რომელიც ქვეყანაში მოქმედებს. თუმცა აქამდე არ მიუღიათ ისეთი კოდექსი, რომელიც გადამხდელებს მოეწონებოდათ. სხვათა შორის, ამაზე ეკონომიკის ექსპერტი ნოდარ ჯავახიშვილი ამბობს, რომ „ბიზნესმენები წუწუნებენ იმ კანონებს, რისი განხორციელება რეალურად არც მომხდარა. დასაწუნია არა კოდექსი, არამედ ის მექანიზმები, რასაც საგადასახადო თანამშრომლები იყენებენ“.**

**დიდი ბრძოლის შემდეგ, საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტიც შეიქმნა, რომელსაც შეცდომით ხშირად „ბიზნეს ომბუდსმენსაც“ უწოდებენ. მან მეტ-ნაკლებად უნდა დაარეგულიროს სახელმწიფოსა და ბიზნესმენს შორის წარმოქმნილი სირთულეები, მაგრამ როცა ომბუდსმენი პრემიერ-მინისტრის ყოფილი მრჩეველია, ძნელია, მისი ობიექტურობა დაიჯერო.**

# ნოღაიდელი ბიზნესმენების დაცვას აპირებს, მაგრამ რაღა დროს?!

გუშინ მოძრაობა „სამართლიანი საქართველოს“ ლიდერმა **ზურაბ ნოღაიდელმა** ბრიფინგზე განაცხადა, რომ ის და მისი გუნდი ახალ საგადასახადო კოდექსზე მუშაობას იწყებენ, თუმცა მთავრობა რომ მას ალტერნატივად არ აქცევს, აქედანვე ფაქტია.

ამის მიუხედავად, ნოღაიდელი ირწმუნება, რომ ახალი კოდექსი საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის ადვილი გასაგები იქნება და ყველა ბიზნესმენს აღჭურავს გარანტიებით, სახელმწიფო რეკეტის წინააღმდეგ იბრძოლოს.



**„საქართველოში არსებული ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი არის რეკეტი, რომელსაც ხელისუფლება ბიზნესზე ახორციელებს. ამის საშუალებას კი დღეს მოქმედი საგადასახადო კოდექსი აძლევს“,** — ამბობს ის.

ნოღაიდელის თქმით, ახალი საგადასახადო კოდექსის შექმნა დღის წესრიგში იმიტომ დადგა, რომ მისი პროგნოზით, ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი გაღრმავდება, ხოლო ინფლაციამ შესაძლოა მონეტარული სტაბილურობაც ეჭვქვეშ დააყენოს. **„ვაფრთხილებ ხელისუფლებას, თუ შესაბამისი ღონისძიებები არ გატარდება, უახლოეს მომავალში მონეტარული სტაბილურობა ეჭვქვეშ დადგება. ამის შემდეგ კი ჩვენს ეკონომიკას ქაოსი მოიცავს. მონეტარული სტაბილურობის დარღვევის შემთხვევაში, სააკაშვილის რეჟიმს ხელისუფლების შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება“,** — ვარაუდობს ოპოზიციონერი.

ახალ კოდექსზე მუშაობის პროცესში რამდენიმე ექსპერტი ჩაერთვება, ხოლო დოკუმენტი საზოგადოებას მომავალ არჩევნებამდე წარედგინება. ის აუცილებლად იქნება საბაზრო ეკონომიკის თამაშებს მორგებული და საზოგადოების კეთილდღეობისკენ მიმართული. „ლიბერალური საგადასახადო კოდექსი ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, — ამბობს ნოღაიდელი, — დოკუმენტი ადვილად გასაგები იქნება საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის და უზრუნველყოფს ყველა ბიზნესმენის აღჭურვას გარანტიებით სახელმწიფო რეკეტის წინააღმდეგ“.

**რა თქმა უნდა, ყველა სიახლე კარგია, მაგრამ ნოღაიდელის ეს გაბედული ნაბიჯი უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა მაშინ, როცა ის უმრავლესობას წარმოადგენდა. იმ დროს არანაკლები იყო ბიზნესის დატერორების ფაქტები, ვიდრე დღეს, თუმცა როგორც ფინანსთა მინისტრი ან პრემიერი, ნოღაიდელი ჯიუტად დუმდა...**

თეა მოსია

## პარტიებსა და მოძრაობებში

# სადაზღვევო სისტემა კორუფციის ბუდედ იქცევა

**საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, „თავისუფალი დემოკრატების“ წევრმა ზურაბ აბაშიძემ სადაზღვევო სისტემაში კორუფციული გარიგების დიდ შესაძლებლობაზე ისაუბრა.**

აბაშიძის თქმით, ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისების, სადაზღვევო კომპანიებიდან ბითუმად შესყიდვის მექანიზმი თავის თავში ობიექტურად მოიცავს კორუფციული გარიგების შესაძლებლობას.

— ქვეყანაში შემუშავებული არაა სამედიცინო სტანდარტების 80%. აქედან გამომდინარე, რეალურად სახელმწიფო ვერ გააკონტროლებს სადაზღვევო კომპანიების მედიკამენტოზური მომსახურების ხარისხსა და ფასს. მედიკამენტების წარმოება, იმპორტი და დისტრიბუცია მონოპოლიზებულია, რის გამოც შეუძლებელია სახელმწიფომ ისინი გააკონტროლოს, — აღნიშნა აბაშიძემ.

მისი თქმით, სადაზღვევო კომპანიების მიერ აშენებული საავადმყოფოები, რეალურად ბიუჯეტის თანხით, ანუ მათ მიერ მიღებული „ზემოგებიდან“ ფინანსდება.

„თავისუფალი დემოკრატები“ მერიის სოციალური დაცვისა და კულტურის სამსახურს მოუწოდებენ, დაუყოვნებლივ დაიწყოს სადაზღვევო კომპანიების მიერ ბენეფიციართა მომსახურების ხარისხის შესწავლა და მიღებული შედეგები გააცნოს საზოგადოებას.

ამასთან, „თავისუფალი დემოკრატები“ მოითხოვენ, დედაქალაქის საკრებულოს სარევიზიო კომისიამ სამუშაო გეგმაში შეიტანოს ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების მონიტორინგი.

## სამართალი

# პოლიციელს უფლებამოსილების გადამეტებისკენ კანონი უბიძგებს

**რომ არა ქუჩაში დამონტაჟებული ვიდეოთვალი, ძმები ლუტიძეები ვერაფრით შეძლებდნენ საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებას. არათუ მოსამართლეს, არამედ მშობელ მამასაც კი ეჭვი შეეპარა მათ კეთილსინდისიერებაში, რადგან პოლიციის თანამშრომლები ჯიუტად ამტკიცებდნენ, ძმებმა პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს, როცა ისინი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს დავაკავეთო. მოსამართლემ ორივეს 400-400-ლარიანი ჯარიმა აჰკიდა, თუმცა ძმებმა ვიდეო-თვალის გახსნა ჯიუტად მოითხოვეს. კადრებმა აჩვენეს, რომ ისინი მშვიდად მიუყვებოდნენ ქუჩას, როცა პატრულმა გააჩერა. „წესრიგის დამცველმა“ ერთ-ერთს თავში წამოჰკრა ხელი, ორივენი მანქანაში ძალით ჩასვეს, ერთი-ორი იქვე უთავაზეს და პოლიციის განყოფილებისკენ გააქანეს...**

ეს შესავალი იმისთვის დაგვჭირდა, რომ ამ „ცუდი კანონის“ შესახებ „თავისუფალმა დემოკრატებმა“ ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე შეიტანეს სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში. მათ გაასაჩივრეს პოლიციის შესახებ კანონის — მე-9 პრიმა მუხლი, რომლის თანახმად პოლიციელს აქვს უფლება „გონივრული ეჭვის“ საფუძველზე შეაჩეროს პირი და მის ტანსაცმელზე აწარმოოს ზედაპირული შემოწმება, ანუ გაჩხრიკოს. სწორედ ასეთი „გონივრული ეჭვის“ მსხვერპლნი გახდნენ ძმები ლუტიძეები.

ადვილი წარმოსადგენია ადამიანის რეაქცია, რომელსაც უმიზეზოდ აჩერებენ, ჩხრეკენ და პოლიციაში მიჰყავთ. ის ყოველთვის გამოხატავს თავის უარყოფით ემოციას და არასასურველ დამოკიდებულებას დამკავებლის მიმართ.

„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთმა ლიდერმა **ლევან იზორიამ** ამ თემასთან დაკავშირებით ბრიფინგი გამართა და აღნიშნა, რომ „ზემოთ აღნიშნულ სარჩელს მტკიცებულების სახით დაერთვება ის ვიდეოფირი, სადაც აღბეჭდილია 2011 წლის 6 თებერვალს პოლიციელის მიერ ძმები ლუტიძეების უსაფუძვლო დაკავებისა და ძალადობის ფაქტი. სწორედ ეს არის იმის ნათელი დადასტურება, რომ პოლიციელს ყოველგვარი საფუძვლისა და მიზნის გარეშე შეუძლია პირის შეჩერება და მის ტანსაცმელზე ზედაპირული შემოწმება, რაც პოლიციელს სხვა თვითნებური, ადამიანის უფლებების შემლახავი მოქმედებებისკენ უბიძგებს. ამ არაკონსტიტუციური უფლებამოსილების „დაკანონებას“ წარმოადგენს ხელისუფლების შემოღებული პოლიციელის შესახებ კანონის მე-9 პრიმა მუხლი“.

**საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელი არ განუხილავს, თუმცა „თავისუფალი დემოკრატები“ მიიჩნევენ, რომ აღნიშნული უკანონობის შენარჩუნება პოლიციელს მომავალშიც მისცემს ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის საფუძველს, რადგან ის თავის თავში მოიცავს გადამეტებულ უფლებამოსილებას. ასე რომ, მსგავს ფაქტებს კიდევ უნდა ველოდეთ... რადგან პოლიციელის „გონივრულ ეჭვებს“ არავინ იცის, სად აქვს საზღვარი. როცა მოესურვება, მაშინ დაგაკავებს. მიდი და უჩივლე, მას ამის უფლებას თავად კანონი აძლევს!**

ნია ფიფია

# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და მისი პირველი პრეზიდენტი


ნიკო მუსხელიშვილი

**2011 წლის 10 თებერვალს „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას" დაარსებიდან 70 წელი შეუსრულდა, ხოლო მის პირველ პრეზიდენტს, აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილს 16 თებერვალს – დაბადებიდან 120 წელი. ამ ღირსშესანიშნავი თარიღების ფართოდ აღნიშვნა, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოწვევით, მიმდინარე წლის შემოდგომაზე ივარაუდება.**

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეცნიერული და შემოქმედებითი აზრის განვითარებას საქართველოში მდიდარი წარსული აქვს, რამაც გამოხატულება ჰპოვა ქართველი ხალხის უაღრესად ინტენსიურ და ნაყოფიერ მოღვაწეობაში სულიერი კულტურის სფეროში. მრავალი საუკუნის წინ ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები ქმნიდნენ შესანიშნავ თარგმნით და ორიგინალურ ნაწარმოებებს თავის დროზე ისეთ ცნობილ საგანმანათლებლო და სამეცნიერო კერებში, როგორიცაა ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლა კოლხეთში (IV ს.), სულიერი კულტურის ცენტრები პალესტინაში (V ს.), სირიაში (VI ს.), საბერძნეთსა (X-XV სს.) და ბულგარეთში (XI ს.); სწორედ ეს ცენტრები იყო ის კერები, სადაც ჩვენი ერის საუკეთესო წარმომადგენლები ეცნობოდნენ იმდროინდელ მოწინავე ქრისტიანულ და, აგრეთვე, აღმოსავლურ კულტურას, მეცნიერებასა და მწერლობას, რამაც განაპირობა XII საუკუნეში საქართველოში **გელათისა** და **იყალთოს აკადემიების** დაარსება.

საქართველოში უმაღლესი განათლების კერების არსებობა უკვე XII საუკუნეში (და უფრო ადრეც), კერებისა, რომლებიც თავისი დროის ყველაზე მოწინავე, ელინისტურ ტრადიციებზე დამყარებულ ცენტრებს წარმოადგენდნენ, სადაც ისწავლებოდა აღმოსავლურ-დასავლური ფილოსოფია – რაც მოიცავდა იმდროინდელი მოწინავე მეცნიერებისა და განათლების ყველა ძირითად სფეროს – მოწმობს ჩვენი ქვეყნის მტკიცე სახელმწიფოებრიობას და მაღალ კულტურულ დონეს.

სწორედ ელინისტური კულტურის – ამ აღმოსავლურ-დასავლური კულტურული სიმბიოზის – გამოხატულებაა უძველესი ქართული კულტურა, კულტურა ქვეყნისა, რომელიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზეა მოთავსებული და თავის თავში ტრადიციულად აერთიანებს აღმოსავლურ და დასავლურ კულტურულ ნაკადებს.

მაგრამ ეს უძველესი ქართული კლასიკური კულტურა და განათლება წყდება ჩვენს ქვეყანაში ბარბაროსული ძალების შემოჭრით, რამაც ხანგრძლივი დროით შეაფერხა ჩვენთან მოწინავე მეცნიერებისა და კულტურის განვითარება და მოსპო კლასიკური განათლების ტრადიციები.

ეს ტრადიციები, უკვე ევროპული განათლებისა და მეცნიერების საფუძველზე, აღდგა ჩვენში **ქართული ეროვნული უნივერსიტეტის** დაარსებით; სწორედ ამაში მდგომარეობს ჩვენი ეროვნული უნივერსიტეტის დიდი ისტორიული მნიშვნელობა; სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა შეფასდეს **ივანე ჯავახიშვილის** ღვაწლი ქართული კულტურისა და ქართველი ხალხის წინაშე; უმაღლესი განათლების ახალი კერის დაარსებით თითქოს აღდგა გაწყვეტილი ძაფი კლასიკურ ქართულ ელინისტურ განათლებასა და თანამედროვე ქართულ ეროვნულ განათლებასა და მეცნიერებას შორის.

ნიშანდობლივია, რომ ქართული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წელს საქართველოში უმაღლესი განათლების კერის აღდგენას ემთხვევა; ქართული ეროვნული უნივერსიტეტის დაარსება იყო იმავდროულად ქართული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის კულტურულ-მეცნიერული უზრუნველყოფა, მისი ერთ-ერთი ძირითადი გარანტი.

თბილისის უნივერსიტეტში დღიდან მისი დაარსებისა შეიქმნა პროფესორთა ძლიერი ბირთვი, რომლის წევრები აღიზარდნენ დასავლეთისა და რუსეთის უნივერსიტეტებში; პროფესორთა პირველ კოლეგიაში შედიოდნენ: **ივანე ჯავახიშვილი, დიმიტრი უზნაძე, კორნელი კეკელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ახვლედიანი, პეტრე მელიქიშვილი, ანდრია რაზმაძე, სიმონ ავალიანი, იუსტინე აბულაძე, ანდრია ბენაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი.**

სწორედ პირველი ქართული უნივერსიტეტის პროფესურამ დააფუძნა შემდგომში „საქართველოს მეცნიერებათა აკადემია".

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, როგორც ქართველ მეცნიერთა გაერთიანების ორგანიზაციული ფორმა, საქართველოს მთავრობის 1941 წლის 10 თებერვლის დადგენილებით შეიქმნა, რაც უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. როგორც ითქვა, მეცნიერებათა აკადემიის ისტორია ჩვენში უძველესი დროიდან იწყება; იგი არის მემკვიდრე და ტრადიციების გამგრძელებელი, ისევე როგორც ივ.ჯავახიშვილის მიერ დაარსებული პირველი ქართული უნივერსიტეტი, XII საუკუნეში შექმნილი ქართული განათლებისა და სულიერების კერებისა – **გელათის და იყალთოს აკადემიებისა;** სწორედ ამიტომ არის ამჟამად ჩვენი „მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის" ემბლემა **მეფე დავით აღმაშენებელი გელათით ხელში...**

აკადემიის დამფუძნებელი წევრები იყვნენ ჩვენი გამოჩენილი მეცნიერები: **გიორგი ახვლედიანი, ივანე ბერიტაშვილი, კირიაკ ზავრიევი, ფილიპე ზაიცევი, ალექსანდრე თვალჭრელიძე, კორნელი კეკელიძე, ნიკოლოზ კეცხოველი, ტარასი კვარაცხელია, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, დიმიტრი უზნაძე, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ჩუბინაშვილი, გიორგი ხაჭაპურიძე, სიმონ ჯანაშია, ალექსანდრე ჯანელიძე.**

1941 წლის 26 თებერვალს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების ორგანიზაციულ სხდომაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველ პრეზიდენტად ერთსულოვნად იქნა არჩეული გამოჩენილი ქართველი მეცნიერი აკადემიკოსი **ნიკოლოზ მუსხელიშვილი**.

1941 წლის 27 თებერვალს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველმა პრეზიდენტმა აკადემიის პირველ სესიაზე თავის შესავალ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა ივ.ჯავახიშვილის განსაკუთრებული დამსახურება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ამასთანავე მისი მემკვიდრის – „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის" დაფუძნებაში. მან შემდეგი სიტყვებით დაამთავრა თავისი გამოსვლა: **„ამ სადღესასწაულო დღეს ჩვენ ძალიან დანაღვლიანებულები ვართ იმის გამო, რომ ჩვენს შორის არ არის ის ადამიანი, რომელსაც ყველაზე უფრო გაუხარდებოდა ეს დიდი მოვლენა და მე ეჭვი არ მეპარება, რომ თუ დღეს მე პატივი მაქვს, დავიკავო ეს მაღალი პოსტი, ივანე ჯავახიშვილი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ამ პოსტს ის დაიკავებდა"...**


ივანე ჯავახიშვილი

დაარსების დღიდან „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში" ძირითადი სამეცნიერო მიმართულებანი ქვეყნის კულტურული და სამეურნეო მშენებლობის ამოცანათა შესაბამისად და წლების მანძილზე მეცნიერების ცალკეულ დარგებში დამკვიდრებულ მაღალ ტრადიციათა გათვალისწინებით ვითარდებოდა.

გასული საუკუნის 60-იან წლებში „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის" სისტემაში წარმოდგენილი იყო თანამედროვე მეცნიერების თითქმის ყველა დარგი, რაც დიდი დამსახურებაა აკადემიის პირველი პრეზიდენტის, **აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილისა**, რომელიც ფართო მეცნიერული და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ყოველთვის დიდ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენდა „აკადემიის" სისტემაში მეცნიერული ცოდნის ყველა დარგის განვითარებისადმი.

**ნიკოლოზ მუსხელიშვილი** არა მარტო დიდი მეცნიერი, არამედ დიდი პედაგოგიც იყო; მის შესანიშნავ ლექციებზე „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა" და „საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში" ქართველ მათემატიკოსთა, ფიზიკოსთა და ინჟინერთა მრავალი თაობა აღიზარდა. **ნიკოლოზ მუსხელიშვილის** წიგნები თეორიულ მექანიკასა და ანალიზურ გეომეტრიაში უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოს ეტალონებად ითვლებოდა და ათეული წლების მანძილზე მიჩნეული იყო მრავალი უმაღლესი სასწავლებლის ძირითად სახელმძღვანელოდ.

„მეცნიერებათა აკადემიამ", რომელსაც **ნიკოლოზ მუსხელიშვილი** 30 წელზე მეტ ხანს ხელმძღვანელობდა, მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია თანამედროვე მათემატიკისა და მექანიკის, ფიზიკისა და ასტრონომიის, ფიზიოლოგიისა და ბიოლოგიის, ქიმიისა და გეოლოგიის, ენათმეცნიერებისა და აღმოსავლეთმცოდნეობის, ისტორიისა და არქეოლოგიის, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის და ცოდნის სხვა დარგებში; ყოველივე ამან სახელი გაუთქვა მთელს მსოფლიოში „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას" და ჩააყენა იგი მსოფლიოში ცნობილი სამეცნიერო ცენტრების მოწინავეთა რიგებში...

როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ბოლოდროინდელი რეფორმირების შედეგად ჩამოყალიბებული სტრუქტურა „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა", რომელიც კანონში „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ" დახასიათებულია როგორც „საქართველოს მთავრობის მეცნიერული მრჩეველი", მნიშვნელოვნად განსხვავდება ტრადიციულად არსებული სტრუქტურისაგან და უახლოვდება იმ დასავლური აკადემიების სისტემას, სადაც კვლევითი ინსტიტუტები შედიან უშუალოდ უმაღლეს სასწავლებლებსა და უნივერსიტეტებში, ხოლო „აკადემია" წარმოადგენს სხვადასხვა ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში მომუშავე გამოჩენილ მეცნიერთა ელიტარულ გაერთიანებას, თავისი განსაკუთრებული სტრუქტურული ერთეულებით; ასეთ სტრუქტურებში ხდება ქვეყანაში სხვადასხვა მიმართულებით შესრულებული ყველა კვლევითი სამუშაოს შეფასება–ატესტაცია და მათგან საუკეთესოების მაღალრეიტინგულ აკადემიურ ჟურნალებში პუბლიკაცია; აგრეთვე ბოლო ხუთი წლის მანძილზე სხვადასხვა დარგში გამოქვეყნებული საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომების გამოჩენილი მეცნიერების სახელობითი პრემიებით დაჯილდოება, ახალგაზრდა მკვლევრების პრემირება და მატერიალური წახალისება და სხვ.


საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დამფუძნებელთა ერთი ჯგუფი, აკადემიკოსები (მარცხნიდან): შალვა ნუცუბიძე, ალექსანდრე ჯანელიძე, გიორგი ახვლედიანი, ნიკოლოზ მუსხელიშვილი (აკადემიის პირველი პრეზიდენტი), ალექსანდრე ჯავახიშვილი, ივანე ბერიტაშვილი, აკაკი შანიძე.

მნიშვნელოვანი ამოცანაა ამჟამად უნივერსიტეტებს შეერთებულმა ყოფილმა აკადემიურმა კვლევითმა ინსტიტუტებმა შეინარჩუნონ ის მაღალი მეცნიერული პოტენციალი, რაც მათ აკადემიის სისტემაში ყოფნისას ახასიათებდა; ეს მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებასა და მის შემდგომ განვითარებას.

მეცნიერებათა აკადემიიდან გაყვანილი კვლევითი ინსტიტუტების ნაცვლად აკადემიის სისტემაში ავტონომიური ერთეულების სტატუსით შემოვიდა ორი მნიშვნელოვანი სამეცნიერო სტრუქტურა – **„ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახ. მთავარი სამეცნიერო რედაქცია"** და **„აკად. გიორგი წერეთლის სახ. „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის გამოცემის კომისია და „ქართული ენის თესაურუსის" კომიტეტი"** (შემოკლებით: **„რუსთაველის კომიტეტი"**), რომლებიც მეტად მნიშვნელოვან სამეცნიერო-საგამომცემლო საქმიანობას ეწევიან. **„ქართული ენციკლოპედიის"** ხაზით ბოლო წლებში გამოქვეყნდა ისეთი მნიშვნელოვანი პუბლიკაციები, როგორიცაა „ქართული ენა", „ქართული დამწერლობა", "თბილისი: ქუჩები, გამზირები, მოედნები"... ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა მრავალტომიან ენციკლოპედიაზე „საქართველო", რომელიც რამდენიმე წელში დასრულდება;

**„რუსთაველის კომიტეტი"** აგრძელებს მუშაობას „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის დადგენაზე დაწვრილებითი კომენტარებითა და ლექსიკონით...

**„ქართული ენის თესაურუსში"**, რომლის ელექტრონული ვერსია ინტენსიურად მუშავდება, წარმოდგენილი იქნება ყველა შესაძლებელი სიტყვა-ფორმის სახით ქართული ენის დოკუმენტურად ფიქსირებული პერიოდის (V საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნის ჩათვლით) ქრონოლოგიურად დალაგებული მთელი ლექსიკა ტექსტობრივი საილუსტრაციო მასალით; ამგვარ **„ლექსიკონში"** აისახება ქართული ენის უმდიდრესი მრავალსაუკუნოვანი სიტყვიერი მარაგი; ეს იქნება **„ქართული ენის ლექსიკური საუნჯე"**, ანალოგიური საქვეყნოდ ცნობილი ბერძნული, ლათინური, ინგლისური, ფრანგული, გერმანული და ზოგი სხვა ენის „თესაურუსებისა"...

ამჟამად „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში" არსებული ათი „სამეცნიერო განყოფილება" ფარავს არსებითად თანამედროვე ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერებათა ყველა დარგს. ამასთანავე, აკადემიაში შეიქმნა მთელი რიგი „კომისიები" და „კომიტეტები", რომელთა ხელმძღვანელები აკადემიის წევრები არიან; ასეთია „ქართული ენისა და ლიტერატურის კომისია", „საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი", „საქართველოს მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისია", „საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია", „ისტორიისა და ეთნოლოგიის კომისია", „კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისია", „ნანოტექნოლოგიების პრობლემების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი" და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩვენს „აკადემიაში" „ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის შემსწავლელი კომისიის" ჩამოყალიბება, რომელსაც სათავეში უდგას **სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II** – „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის" **საპატიო აკადემიკოსი**.

აღნიშნულ „კომისიებსა" და „კომიტეტებში" ივარაუდება აგრეთვე სათანადო სამეცნიერო დარგებში დისერტაციების დაცვა „მეცნიერებათა დოქტორის" ხარისხის მოსაპოვებლად (განსხვავებით „აკადემიური დოქტორის" ხარისხისაგან, რომელსაც უმაღლესი სასწავლებლები ანიჭებენ).

ჩვენი აკადემიის **„აკადემიური საბჭოს"** გაფართოებულ საჯარო სხდომებზე, რომლებსაც ხშირად საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის წევრებიც ესწრებიან, წმინდა სამეცნიერო პრობლემებთან ერთად, განიხილება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისა და მისი შემდგომი განვითარების პრობლემატიკა, როგორიცაა „შავი ზღვის აუზის ქვეყნების ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა", „მიწისძვრები და სეისმური რისკი", „წყალდიდობები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის საინჟინრო ეკოლოგიური ღონისძიებები", „საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოების კონცეფცია", „საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების კონცეფცია"; **„აკადემიური საბჭოს"** მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ეგზავნება სათანადო სამთავრობო სტრუქტურებს...

„საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია" არის მთელი რიგი საერთაშორისო აკადემიური გაერთიანებების კოლექტიური წევრი, მათ შორის წევრი „სრულიად ევროპის აკადემიათა ასოციაციის", „აზიისა და აფრიკის აკადემიათა ასოციაციის" და სხვ. ჩვენი „აკადემიის" მრავალი წევრი არის იმავდროულად ყველაზე პრესტიჟული დასავლური – ევროპისა და ამერიკის – აკადემიებისა და უნივერსიტეტების საპატიო უცხოელი წევრები და საპატიო დოქტორები, ისე როგორც მრავალი გამოჩენილი უცხოელი მეცნიერი არის „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის" უცხოელი წევრი, რასაც ისინი დიდ პატივად მიიჩნევენ...

ჩვენს აკადემიაში ჩატარებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგებს – მათს დადებითსა თუ უარყოფით მხარეებს – ალბათ მომავალი გვიჩვენებს; ახლა კი შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია" კვლავაც შეეცდება, მაღლა ატაროს ქართული მეცნიერების – ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერებათა – დროშა, მეცნიერებისა, რომელიც ყოველთვის იდგა მსოფლიო მეცნიერების დონეზე და მრავალ სამეცნიერო დარგში თვით განსაზღვრავდა ამ დონეს.

**თამაზ გამყრელიძე,**
**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი.**

დემონსტრირება

# „DIE WELT“ საიდუმლო წერილებს აქვეყნებს



**გერმანული** გამოცემა „Die Welt“-ის შეფასებით, „ნატოს ქვეყნები მსოფლიოს წინაშე ერთობის დემონსტრირებას ცდილობენ, თუმცა დახურულ კარს მიღმა სერიოზული უთანხმოებები აქვთ“.

ამ დასკვნას „ნატო „ბედნიერ ოჯახს“ თამაშობს“ ავტორები თავად ნატოს დოკუმენტების, მათ შორის 2009 წელს ალიანსში აშშ-ის ელჩის ივო დაადლერის წერილებზე დაყრდნობით აკეთებენ.

Welt Online-ის ელექტრონული გამოცემის მიერ გაზეთ Aftenposten-თან თანამშრომლობით მოპოვებული 250 000-ზე მეტი დეპეშიდან გამოცემა ასკვნის, რომ **„ნატოში არსებული შიდა დაპირისპირება ძირითადად რუსეთის ფაქტორს უკავშირდება, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო საქართველოს 2008 წლის კრიზისის დროს გახდა“.**

სტატიის ავტორების ინფორმაციით, „როდესაც კავკასიაში ყუმბარების აფეთქებისა და ტანკების გრუხუნის ხმა ისმოდა, მსოფლიოს ყველაზე ძლიერ სამხედრო ალიანსში დიდი ბრძოლა იყო გაჩაღებული“.

**„ნატოს წევრი ქვეყნები ერთმანეთს ომის თავიდან აცილების გზებზე დაუპირისპირდნენ. ამერიკელები ჩიოდნენ, რომ „გერმანელები პრორუსულ არგუმენტებს იყენებენ“, ნატოს გენერალური მდივანი კი აცხადებდა, რომ „ერთობის მისაღწევად მათ დროის ხარჯვა არ უნდა სჭირდებოდეთ“. შედეგად, იმ დროს, როდესაც ომი სულ უფრო მასშტაბური ხდებოდა და ყველას ეშინოდა, რომ კონფლიქტი მთელს რეგიონს მოედებოდა, დასავლეთის თავდაცვითი ალიანსი, ფაქტობრივად, უუნარო იყო. ნატოს უმაღლესმა საბჭომ 2008 წლის 12 აგვისტოს კრიზისული სხდომა გამართა, რათა განეხილა, როგორ უნდა მოქცეულიყო ალიანსი კონფლიქტის დროს, თუმცა ერთკვირიანი დისკუსიები მხოლოდ ერთობლივი განცხადებით დასრულდა“,** — წერს „Die Welt“.

მისივე მონაცემებით, ქართული კრიზისი ერთ-ერთია იმ მრავალ თემას შორის, რომელსაც 2006-დან 2010 წლამდე ნატოს საბჭოს სხდომების 250 საიდუმლო ოქმი ეხება.

**„ეს დოკუმენტები ცხადყოფს, როგორ ებრძვის ალიანსი მის რიგებში არსებულ განხეთქილებას, რომელიც სინამდვილეში ბევრად უფრო ღრმაა, ვიდრე ნატოს ქვეყნების პოლიტიკოსები აღიარებენ. ალიანსი ბევრ საკითხთან მიმართებაში დაქსაქსულია. „ცივი ომის“ ეპოქის ყოფილ მეტოქესთან — რუსეთთან ურთიერთობა ქრონიკული პრობლემაა“,** — წერს გამოცემა.

მას 2009 წელს ნატოში აშშ-ის ელჩის ივო დაალდერის სიტყვები მოჰყავს იმის შესახებ, რომ **„ნატოს არაფერი ჰყოფს ისე, როგორც რუსეთი“ და აღნიშნავს, რომ „დაადლერმა აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჰილარი ქლინთონს ალიანსის ისტორიაში ყველაზე რთული წლების სურათი შელამაზების გარეშე დაუხატა“.**

**„რუსეთ-საქართველოს ომმა გააშიშვლა ის პრობლემები, რომელიც ნატოს აღმოსავლეთ ევროპაში აქვს. კრიზისის დაწყებამდე ორი კვირით ადრე გერმანიის ფედერალური კანცლერი გამოვიდა წინადადებით, საქართველოს დასავლურ სამხედრო ალიანსში მიღება გადადებულიყო, „თუ რაიმე საშინელება არ მოხდება“. მერკელი ვარაუდობდა, რომ ამ ფორმით რუსეთზე ზეწოლას შეინარჩუნებდა. თავის მხრივ, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ დენ ფრიდმა 2008 წლის ივლისში ნატოს ხელმძღვანელობის წინაშე გამოსვლისას განაცხადა, რომ „ასეთმა მიდგომამ შეიძლება, რუსეთს რაღაც საშინელების გაკეთების არაჯანსაღი სტიმული გაუჩინოს“. ორ კვირაში ომი დაიწყო“** — ირკვევა დეპეშებიდან.

**„საქართველოს კონფლიქტი პიკს აღწევდა, როდესაც ნატოს უმაღლესმა ორგანომ 12 აგვისტოს ზემოთ ხსენებული კრიზისული სხდომა გამართა. ბევრ ქვეყანას რუსეთის მკაცრად გაკრიტიკება სურდა, მაშინ, როდესაც გერმანია „მკვეთრი და დამგმობი ტექსტის“ მიღების წინააღმდეგ გამოვიდა. სხდომის დროს ბევრს კამათობდნენ იმაზე, ნატოს რომელი წევრი ქვეყნები იყვნენ დამნაშავენი ომის გაჩაღებაში. ყურადღების ცენტრში 2008 წლის აპრილში სახელმწიფოს მეთაურთა და მთავრობების მიერ ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება მოექცა, რომელსაც შეერთებული შტატები საშუალოვადიან პერსპექტივაში საქართველოსა და უკრაინის ალიანსში მიღებაზე მკაფიო სიგნალად აღიქვამდა, გერმანელებისთვის კი დოკუმენტი „ვალდებულებისგან დაცლილი გამოცდა“ იყო. გერმანელი ოპონენტები ვარაუდობდნენ, რომ ბუქარესტში მიღებულმა გადაწყვეტილებამ რუსული აგრესიის პროვოცირება მოახდინა, მაშინ, როდესაც სხვა სახელმწიფოთა უმრავლესობა (მათ შორის ახალი წევრები და კანადა) იზიარებდნენ აშშ-ის მოსაზრებას, რომ რუსეთმა ნატოში გაწევრებისთვის სამოქმედო გეგმის მინიჭებაზე უარის თქმა საქართველოს წინააღმდეგ სამოქმედო „მწვანე შუქად“ აღიქვა. გერმანელები, მათი მუდმივი წარმომადგენლის ჩათვლით აქტიურად უარყოფდნენ მოსაზრებას, რომ ბუქარესტის შეთანხმება ალიანსში ორივე კანდიდატის წევრობას ითვალისწინებდა“,** — აღნიშნულია, გამოცემის მონაცემებით, სხდომის ამერიკულ ოქმში.

მისივე ინფორმაციით, უთანხმოების მთავარ მიზეზს ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოება წარმოადგენდა.

**„წერილებიდან ირკვევა, რომ აშშ უკმაყოფილო იყო „gang of five“ ჯგუფის საქმიანობით, რომლის წარმომადგენლებს მუდმივად „პრორუსული არგუმენტები“ ჰქონდათ. გერმანია „ხუთთა ბანდის“ კრიტიკოსებს ხელმძღვანელობს და საფრანგეთთან, ჰოლანდიასთან, ესპანეთთან, ნორვეგიასთან და ზოგჯერ პორტუგალიასთან ერთად გამოდის“,** — აღნიშნულია ამერიკელების 2008 წლის 27 ივნისის დეპეშაში.

ამასთან, დიდ ბრიტანეთს, დანიას და იტალიას ამერიკელები **„მერყევ დასავლეთს“ უწოდებდნენ, რომლებიც სხდომების დიდ ნაწილს „გარე დამკვირვებლებივით“ ესწრებოდნენ“.**

თავად შეერთებული შტატები, წერილების მიხედვით, კანადელებთან, პოლონელებთან, ბალტიისპირელებთან, ჩეხებთან, რუმინელებთან და ბულგარელებთან ერთად „მხარდამჭერთა ჯგუფს“ წარმოადგენდნენ, ანუ ჯგუფს, რომელიც აღმოსავლეთით გაფართოებას, ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემის განთავსებას და მოსკოვის მიმართ უფრო მკაცრი კურსის გატარებას ემხრობოდა.

**„ერთობლივ შეხვედრაზე გერმანია წევრებს აფრთხილებდა, რომ ალიანსში საქართველოს გაწევრებით ბლოკს „ახალი კვიპროსის იმპორტირება“ შეიძლებოდა, მოეხდინა. ამასთან დაკავშირებით ამერიკელ დამკვირვებლებს ეჭვები გაუჩნდათ, რომ ბერლინს თავად გაფართოების „დანაღმვა“ სურდა. საქართველოს და უკრაინის გაწევრებასთან დაკავშირებული ფრანგული წინააღმდეგობა კი, ამერიკელების აზრით, ჩვეულებრივ „ხუთთა ბანდის“ შემადგენლობაში „შემსრულებლის“ როლით შემოიფარგლებოდა. რაც შეეხება ნორვეგიას, ის გერმანელებისა და ჰოლანდიელების არგუმენტების მხარდაჭერით ტაქტიკით „ჩვენც“ ხელმძღვანელობდა. ჰოლანდიელები კი საქართველოს „მოუმწიფებელ დემოკრატიად“ მიიჩნევდნენ და მიხეილ სააკაშვილს „ემოციურ და კორუმპირებულ“ სახელმწიფო მეთაურად ახასიათებდნენ, „რომლის ნდობა არ შეიძლება“. გერმანელები მას „გიჟს და სახიფათოს“ უწოდებდნენ. სინამდვილეში, „ხუთთა ბანდისთვის“ რუსული საკითხის არსი ის არის, რომ ისინი დიდ მეზობელთან ურთიერთობების გაციებას უფრთხოდნენ. ეს ნატოში აშშ-ის ელჩმა აღნიშნა, როდესაც 2009 წლის ოქტომბერში პოტენციური რუსული საფრთხისგან ბალტიისპირეთის სახელმწიფოების დაცვის გეგმებზე საუბრობდა. გერმანიის მსგავსად, ალიანსის ბევრი წევრი „მთელი ძალით იბრძოლებს იმის წინააღმდეგ, რომ როგორმე შთაბეჭდილებაც კი არ შეიქმნას იმის, თითქოს ნატო და რუსეთი ახალი „ცივი ომის“ გზას ადგანან“,** — აღნიშნულია დაადლერის დეპეშაში.

**ნინო ჩიჩუა**

გვწერენ

# „წყალწყალა“ „მარგალიტები“

წყლის ხარჯვის გარშემო დიდი ამბავია ატეხილი, თან ყველაფერს „მარგალიტების“ ისეთი ნაკადი მოჰყვება, „გონიერების მსოფლიო კონკურსზე“ რომ გაიტანონ, პირველობას ნამდვილად არავის დაუთმობდა. ამას იმიტომ გწერთ, რომ ჩვენ სახლში წყლის საგადასახადო ქვითარი მოიტანეს, ერთ დროს აქ მცხოვრები მარტოხელა ქალის სახელზე, რომელიც სულ „რაღაც“... ოცი წლის წინათ გარდაიცვალა. ამან დილემის წინაშე დაგვაყენა — როგორ ან რანაირად უნდა გადაიხადოს გარდაცვლილმა „დახარჯული“ წყლის საფასური, რადგან ამის თაობაზე სახელისუფლებო განკარგულება არსებობს. განა უფრო იოლი არ არის, თუ თვითონ ჩაუტანენ ამ გადასახადის ქვითარს „იქ“, თან გარდაცვლილს აუხსნიან შექმნილ მდგომარეობას?

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ამბავში ქალბატონი დ. ასტვაცატუროვა მარტო არ არის. მაგალითად, ერთ მდგმურს, რომელიც ამ სახლში სამი წელია ცხოვრობს, უცებ, არავინ უწყის საიდან, კიდევ ორი ადამიანი დაემატა, რომელთაც არც სახელი აქვთ, არც გვარი და, რაც მთავარია, აქ ისინი არასდროს არავის უნახავს.

ისე მოხდა, რომ 20 წლის წინათ მეც თბილისიდან გადავსახლდი რაიონში შვილთან ერთად და იქაც და თბილისშიც, ანუ ერთად ორ ადგილას წყლის გადასახადის გადახდა არ შემიძლია, მაგრამ წყალმეურნეობის „ხუშტურით“ საგადასახადო წესრიგი არ არსებობს. ეს მწარე რეალობაა: არ არსებობს მოსახლეობის აღწერის სიები, რაც საბინაო წიგნების გაუქმებამ გამოიწვია და ამას ხელისუფლება არჩევნებში მოხერხებულად იყენებს. ბოლოს და ბოლოს დაგვიყენონ წყლის მრიცხველები, რომლებიც სხვაგან უსაქმოდ იჟანგება და წყლის ფული იმათი ჩვენებით გადაგვახდევინონ.

**თეიმურაზ დარჩიაშვილი,**
**მწერალთა კავშირის წევრი,**
**პენსიონერი,**

**დ. ბენაშვილის ქ. №2-ის მცხოვრები.**

გამოხმაურება

# კობა სუბელიანი ელიტური კორუფციის წარმომადგენელიაო...

**ბოლო ორი დღის განმავლობაში პოლიტიკური პარტიების „ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენლები საგრძნობლად გააქტიურდნენ, დღის პირველ ნახევარში პარტიის თავმჯდომარე ბრიფინგს, მეორე ნახევარში კი ახალგაზრდული ფრთა პრეზიდენტის რეზიდენციასთან აქციას მართავს. შესაძლებელია მათი მოთხოვნები არავინ გაითვალისწინოს, მაგრამ ამ ფორმით კიდევ ერთხელ შეახსენებენ საზოგადოებას „ახალი მემარჯვენეების“ არსებობას...**

როგორც პარტიის ლიდერმა დავით გამყრელიძემ განაცხადა: „ბოლო პერიოდში ქვეყანაში განვითარებული ინფლაციური პროცესი, ეკონომიკური სტაგნაცია და უმუშევრობა, დემოკრატიის აშკარა დეფიციტთან ერთად, ცალსახად წარმოადგენს ქართული სახელმწიფოს მთავარ გამოწვევას. საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტის წინაშე გამოსვლა ააშკარავებს, რომ მზარდი ინფლაციის, უმუშევრობის და ეკონომიკური სტაგნაციის პირობებში, ქვეყნის ხელისუფლებას არ გააჩნია ამ პროცესების შეჩერების და ეკონომიკის გაჯანსაღების რეალური გეგმა“, — დასძინა, რომ არსებული გამოწვევების რეალისტური დანახვა ხელისუფლებას საშუალებას მისცემს, დროულად უპასუხოს ქვეყნის წინაშე მდგარ საფრთხეებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება. — „ახალი მემარჯვენეები“ კიდევ ერთხელ მოვითხოვთ მოხდეს ანტიინფლაციური წინადადებების დაუყოვნებლივ რეალიზაცია, კერძოდ ბიუჯეტის ხარჯვითი წილის მნიშვნელოვანი შემცირება, გადასახადების შემცირების ტენდენციის გაგრძელება და მისი შესაბამისი გათავისუფლება საპროკურორო და პოლიციური ტერორისაგან.“

დავით გამყრელიძე დევნილების გასახლების თემასაც შეეხო, მოგვიანებით კი დევნილების თემას „ახალი მემარჯვენეების“ ახალგაზრდული ფრთა აქციით გამოეხმაურა პრეზიდენტის რეზიდენციის წინ. აქციის გამართვით ახალგაზრდებმა უპასუხეს პრეზიდენტს კითხვაზე — „ვინ არის ელიტური კორუფციის წარმომადგენელი?“ და მოუწოდეს დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს დაკავებული თანამდებობიდან ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანი.



ახალგაზრდებმა მოითხოვეს მინისტრი კობა სუბელიანის არა მხოლოდ განთავისუფლება, არამედ მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაც, რადგან სწორედ ამ სამინისტრომ არამიზნობრივად გახარჯა ასეულობით მილიონი ლარი და ის საერთაშორისო დახმარება, რომელიც გამოყოფილი იყო დევნილთა დასახმარებლად. მათი თქმით ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტრო დახმარების ნაცვლად, დევნილთა დევნის სამინისტროდ გადაიქცა. ხელისუფლება სასტიკი მეთოდებით უსწორდება საკუთარ მოქალაქეებს და კიდევ ერთხელ სდევნის საკუთარი საცხოვრებლებიდან...

ახალგაზრდებმა პრეზიდენტს კიდევ ერთი მოთხოვნა წაუყენეს „დევნილთა სამინისტრო გადაიტანონ არა გორში, არამედ სოფელ ფოცხოში, იქ, სადაც სამინისტროს განცხადებით, დევნილთა კეთილმოწყობილი ცხოვრებისთვის ყველანაირი პირობაა შექმნილი.

**თინათინ ბორცვაძე**

# დაუბრუნეთ არქიტექტურა არქიტექტორებს!

**თბილისის ურბანული განვითარების ანუ, უფრო ზუსტად, ურბანული განუვითარებლობის პრობლემებზე გვესაუბრება არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, მრავალი რესპუბლიკური და საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ვახტანგ დავითაია**



**— ბატონო ვახტანგ! საინტერესოა თქვენი პირუთვნელი, პროფესიული აზრი იმ საკითხებზე, რომლებიც საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. კერძოდ, გმირთა მოედანი ხსოვნის ობელისკით, ტრასა „მზიურზე“, საერთოდ „მზიურის“ ბედი, „მშვიდობის ხიდი“ და სხვა. ერთია ჟურნალისტის ხედვა, სხვაა პროფესიონალის შეფასება.**

— თქვენ სიტყვა „პროფესიონალი“ ახსენეთ. ერთი უცნაური ამბავი მახსენდება. ჩვენ ხომ ყველანი ფეხბურთის „პროფესორები“ ვართ, ყველამ ყველაფერი ვიცით ამ უპოპულარესი თამაშის შესახებ.... საქართველოს ნაკრებს კარგა ხანს გერმანელი სპეციალისტი კლაუს ტოპმიოლერი ხელმძღვანელობდა, მისი საქმიანობა ამ პოსტზე წარუმატებელი იყო, მაგრამ არც ისეთი კატასტროფული, როგორიც მისი შემცვლელისა. ტოპმიოლერმა საქართველოდან წასვლის წინ ვრცელ ინტერვიუში ისაუბრა იმ „წვრილმანებსა“ და „ნიუანსებზე“, ფსიქოლოგიურ, ტაქტიკურ, სტრატეგიულ, ფინანსურ პრობლემებზე, რომელიც, თურმე, თანამედროვე ფეხბურთს, საერთოდ ფეხბურთის ბიზნესს ახასიათებს. ამ „ნიუანსების“ დანახვა არაპროფესიონალს ნამდვილად არ შეუძლია.

ასევეა რეჟისურაში, კინოში, მუსიკაში, არქიტექტურაში – არაპროფესიონალი „დიდი“ ჩინოვნიკი, რომელსაც ქვეშევრდომი (დღეს განსაკუთრებით!ძ სიტყვასაც ვერ შეჰბედავს, ადვილად იჯერებს, რომ ყველაფერი იცის.

ყველაფრისმცოდნეობა დღევანდელი საქართველოს მთავარი სენია, რომელიც არა მხოლოდ კონკრეტულ დარგს, არამედ მთლიანად ქვეყანას დიდ ეკონომიკურ და მორალურ ზარალს აყენებს.

როგორც მოქალაქეს, მე ტრასაც მომწონს და „გმირთა მოედანიც“ („მოედანი“ უკვე პირობითი სიტყვააძ, რა ჯობია იმას, რომ სახლში 10-15 წუთით ადრე მიხვალ, ხოლო გმირთა მოედანს მშვიდობით გაალწევ. მაგრამ პროფესიონალმა უნდა დაინახოს არა მხოლოდ ფაქტი, არამედ მოვლენათა ერთობლიობა. დავიწყებ იმით, თუ რამ გამოიწვია ასეთი მასშტაბური, ძვირადღირებული პროექტების განხორციელება. ბოლო ოცი წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, გენერალური გეგმის გარეშე, ქალაქში სტიქიურ-იმპულსურ-მერკანტილურ საფუძველზე მშენებლობის პირობებში, არსებული ქსოვილი არნახულად გადაიტვირთა. ჩინოვნიკებმა და მენაშენეებმა დიდი მოგება ნახეს, რაც ახლა ხალხს, ქალაქის ბიუჯეტს დააწვა ტვირთად.

ქალაქმშენებლობა ზუსტი მეცნიერებაა, ქალაქმშენებლობა ზუსტ გათვლებს ექვემდებარება, ის რაც ამ გადატვირთვის შედეგებმა გამოიწვიეს, სავსებით პროგნოზირებადი იყო, ამაზე არაერთხელ დაგვიწერია და გვითქვამს, მეც და ჩემს კოლეგებსაც, მაგრამ, როგორც წესი... „ქარავანი მიდის“!

„თბილქალაქპროექტში“ არსებობდა გენგეგმის განყოფილება, რომელიც ფლობდა სრულყოფილ მასალას ქალაქზე, ლაპარაკი იყო ამ განყოფილების ინსტიტუტად გარდაქმნაზე, მაგრამ მოხდა პირიქით, რაც იყო, ისიც გააუქმეს. სამწუხაროდ, ახლა ყველაფერი თავიდანაა დასაწყები.

**— ნუთუ ასე ძვირი ჯდებოდა ამ განყოფილების შენარჩუნება?**

— დღევანდელ რეალობას სულაც არ ეტყობა, ჩვენ ისე გვიჭირდეს, რომ გენგეგმის უწყებას ვერ შევინახავდით. არის სხვა მიზეზიც. გენგეგმა ქალაქის კონსტიტუციაა, ის გარკვეულწილად ზღუდავს „დიდი“ ჩინოვნიკის მადას, მერკანტილურ ინსტინქტებს. მისი შეცვლა სამართლებრივ ქვეყანაში ისეთივე რთულია, როგორც ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა. როგორც ჩანს, ქალაქის არც ერთ ლიდერს ხელს არ აძლევდა რაიმე შემზღუდავი ბარიერის არსებობა.

**— როგორ გგონიათ, თბილისს გენგეგმა რომ ჰქონოდა, ეს სირთულეები არ წარმოიქმნებოდა, რაიონები არ გადაიტვირთებოდა და ასეთი ძვირადღირებული სატრანსპორტო კვანძის და ტრასის აუცილებლობა დადგებოდა?**

— თუ მხედველობაში მივიღებთ თავად ხელისუფალთა ხაზგასმულ არაკანონმორჩილებას, გენგეგმის არსებობის შემთხვევაში, ბევრი რამ არ შეიცვლებოდა. უპირველეს ყოვლისა ხელისუფლებამ პატივი უნდა სცეს კანონს, მხოლოდ ამის შემდეგ ექნება მას მორალური უფლება მოსთხოვოს კანონმორჩილება ხალხს. ყველა ნებართვა ამ ობიექტების მშენებლობაზე გაცემულია თბილისის მერიის მიერ სხვადასხვა „ეპოქაში“. უსამართლობა იქნებოდა შექმნილი მდგომარეობა მხოლოდ დღევანდელ მერიას მივაწეროთ. ეს კრიზისი ეტაპობრივად ყალიბდებოდა, ახლა დადგა პიკის ხანა!

**— რაში ხედავთ გამოსავალს?**

— კაპიტალი, ფული, იმდენად ძლევამოსილია, რომ მის ნებას ვერავინ აღუდგა წინ. ერთადერთი ძალაა სწორი ალტერნატივა. ქალაქმშენებლობაში ეს ალტერნატივა ქალაქიდან გასვლაა, ახალი საცხოვრებელი თუ საქმიანი უბნების მშენებლობაა, როგორც ეს გააკეთა პარიზმა, პრაღამ, ბალტიისპირეთის ქვეყნებმა, თუ არ მოხდება თვისობრივი ცვლილება ქალაქმშენებლობისადმი დამოკიდებულებაში, სირთულეები კიდევ უფრო საგრძნობი გახდება. ხვალ, ზეგ, გმირთა მოედნის მსგავსი სატრანსპორტო კვანძების აუცილებლობა დადგება კიდევ რამდენიმე ადგილას, პრობლემა საბოლოოდ მაინც ვერ გადაწყდება.



ყველა დიდი თუ მცირე ქალაქმშენებლობითი პრობლემა გენგეგმის ინსტიტუტში უნდა გადაწყდეს, ალტერნატიული ვარიანტებით და არა ჩინოვნიკების კაპრიზებით.

**— ახლა იმაზე მოგვითხრეთ, თუ რამდენად პროფესიულადაა გადაწყვეტილი თავად პრობლემა?**

— მიმაჩნია, რომ ტრასა „მზიურზე“ გაყვანილი უნდა ყოფილიყო ესტაკადის პრინციპით, კონსოლებზე. ასე მივიღებდით საინტერესო საინჟინრო ნაგებობას (სხვათა შორის, ამის კარგი მაგალითია გმირთა მოედნის ესტაკადებიძ.

ესტაკადა უფრო ძვირია, მაგრამ ურბანულად, ეკოლოგიურად, ესთეტიკურად მნიშვნელოვნად ღირებულია ქალაქისთვის.

**მეორე.** მსოფლიო პრაქტიკაში ვერ ნახავთ ისეთი ბარბაროსული დამოკიდებულების მაგალითს, როგორც ეს მოხდა მდ. ვერასთან დამოკიდებულებაში, მისი დიდი ნაწილი გადაიხურა. ვერე, ფაქტობრივად, დასამარებულია. მართალია, გლობალური ეკოლოგიური პრობლემების კონტექსტში, რომელიც თანდათანობით გადის რეგულირების სფეროდან, ვერეს დასამარება წვეთია ზღვაში, მაგრამ ამ წვეთში ნათლად ჩანს საქართველოს ეკოლოგიური სამსახურის უსუსურობა და ერის ეკოუკულტურობა. არადა, ვერე შეიძლებოდა გამხდარიყო სარეკრეაციო სივრცის უმნიშვნელოვანესი ელემენტი. ასეთად მოიაზრებოდა ის „მზიურის“ გენერალური გეგმით. სანამ თბილისის საკრებულო მის მნიშვნელოვან ნაწილს სარეკრეაციო ზონის სტატუსს არ ჩამოართმევდა (7 ოქტომბერი, 2005 წ.ძ. ვერეს ასეთი მასშტაბური გადახურვა არა მხოლოდ არაპროფესიონალიზმია, არამედ დანაშაული! თურმე, ეკოლოგიური სამსახური აპირებს მისდიოს კვალში მანქანებს და იქიდან გადმოგდებული სიგარეტის ნამწვისთვის უმკაცრესად დასაჯოს მძღოლი, მაგრამ ლანდშაფტისადმი ასეთი ბარბაროსული დამოკიდებულება შეუმჩნეველი დარჩა, მათ ასევე ვერ შეამჩნიეს ქალაქის ცენტრში, ცირკის უკანა მხარეს 300 მეტრის სიგრძეზე, კლდის მასივის „ჩამოთლა“, რათა ლანდშაფტი პროექტისთვის მოერგოთ. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ „მზიურის“ ტრასის პროექტი, რომელიც ფართოდ იყო რეკლამირებული და რომელიც დღესაც შემორჩა ბილბორდებზე, მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისგან, რაც რეალურად მივიღეთ. პირვანდელი პროექტით ვერე შედიოდა გვირაბში, მხოლოდ ტრასის თავში და ბოლოში, გმირთა მოედანთან და თამარაშვილის ქუჩასთან, მათ შორის ერთი სატრანსპორტო ხიდი (ჩიქოვანის ქუჩის ბოლოსძ და ხუთი საცალფეხო ხიდი თუ მიწისქვეშა გადასასვლელი იყო დაგეგმილი, ვერე კი თავის კალაპოტში, ღიად მიედინებოდა. როგორც ჩანს, პროექტმა მუშა სტადიაში ცვლილება განიცადა და მოხდა მდინარე ვერეს დიდი ნაწილის გაუჩინარება – დღეს მისი ორი ნაპირი მხოლოდ ერთი სატრანსპორტო ხიდით და ერთი ვიწრო, გასაძრომი გვირაბით უკავშირდება ერთმანეთს. – „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო ძვირფასია“. თამაზ შილაკაძე ჩემი მეგობარია, არც მის პროფესიონალიზმში შეიძლება ეჭვის შეტანა. აჯობებდა მას არ დავიწყნოდა ყველა დროის ჭეშმარიტება, ისტორიის სამსჯავროს პირისპირ რჩება მხოლოდ ავტორი, დანარჩენი ვინც მას კომპრომისებისკენ უბიძგა, ისტორიას არ აინტერესებს.

**მესამე.** ტრასამ „მზიურს“ დააკარგვინა უმთავრესი – სიმყუდროვე, რაც უპირველესი პირობაა სარეკრიაციო ზონისთვის. ყველაფერთან ერთად, „მზიურის“ ტერიტორია შაგრენის ტყავივით დაპატარავდა. რა ბედი ეწევა ამ მილეულ „სარეკრიაციო ზონას„? ყური მოვკარი, მზიურში მოუწვევიათ ამერიკელი „ლანდშაფტური არქიტექტორი“. ეს ცინიზმია, ბედის ირონიაა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ვაკიდან „მზიურის“ ჩამოსასვლელის მონაკვეთი, ასევე მთლიანად დაგეგმარების კონცეფცია, ლანდშაფტური არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშია. აქ ყველაფერი ზუსტია, მოქანდაკე გია ჯაფარიძის არლეკინოც, „ჭიშკარიც“ და რა თქმა უნდა, მერაბ ბერძენიშვილის ბრწყინვალე, მრავალფიგურიანი კომპოზიცია – „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. მარტო ბროწეულის „სვეტი“ წყაროთი რად ღირს! ასევე, კონტექსტშია პოსტმოდერნისტული საბავშვო კაფე და სხვა „მცირე არქიტექტურა“. მთელი „მზიურის“ ზედა ნაწილის გეოპლასტიკა, გრაფიკა, საოცრად ქართულია, ქართული ცეკვითა და სიმღერით, ქართული ცნობიერებით ნასაზრდოები. გაიგებს ახლა ამას კორეელი ან ნაურუელი არქიტექტორი? გრძნობის ხუთივე ორგანო ამოჭრილი უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ვერ შეიგრძნოს ეს მშვენიერება. მისი შემქნელები, ღვთის წყალობით, ცოცხლები არიან და ამ ქალაქში ცხოვრობენ. ამაზეა ნათქვამი – თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასაო“...

„მზიური“ ლანდშაფტურ პარკად იყო გააზრებული, ის ასეთად უნდა დარჩეს, მისი ამოვსება თანამედროვე საბავშვო ატრაქციონებით დაუშვებელია, რასაც, დარწმუნებული ვარ, ჩვენი უცხოელი „ლანდშაფტის არქიტექტორი“ უსათუოდ შემოგვთავაზებს. აქ ატრაქციონიც, მომსახურების „ობიექტებიც“, არაკაპიტალური, ასაწყობ-დასაშლელი, გადაადგილების უნარიანი უნდა იყოს.

**მეოთხე.** „მზიურის“ ტრასამ გამოიწვია ახალი მძლავრი სატრანსპორტო კვანძის აუცილებლობა ჩიქოვანის ქუჩის ბოლოში, მან დიდი ტერიტორია შთანთქა, აქ 6 მიმართულება იყრის თავს. დამატებითმა სატრანსპორტო ნაკადებმა მკვეთრად გააუარესეს ამ ქუჩის მცხოვრებთა პირობები, განსაკუთრებით კი ქუჩის ბოლოს მდებარე რამდენიმე 16-სართულიანი კორპუსის 200-მდე ოჯახისა. მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება, როდესაც დამთავრდება ორი ახალი 16-სართულიანი სახლის მშენებლობა. სატრანსპორტო კვანძის 6 მიმართულებიდან, ჩიქოვანის ქუჩა – ჭავჭავაძის გამზირის ნაკადი უმთავრესია. ამ გზის გამტარიანობა მნიშვნელოვნად შეზღუდულია (ორი ზოლიძ ქუჩის სივიწროვის და საცხოვრებელი სახლებით ინტენსიურად მოშენების გამო. აქ არც საგზაო ნიშნებია და, რაც არ უნდა უჩვეულოდ მოგვეჩვენოს, პატრულიც იშვიათი სტუმარია. ამ გზის გაფართოების არავითარი შანსი არ არსებობს. სახეზეა ქალაქის ერთი რაიონის სატრანსპორტო პრობლემის ნაწილობრივი გაუმჯობესება, ქალაქის მეორე ნაწილის მცხოვრებთა პირობების მკვეთრი გაუარესების ხარჯზე.

**მეხუთე.** გმირთა მოედანზე „ხსოვნის მემორიალის“ საზოგადოებისთვის ამ სახელწოდებით „შეთავაზება“ შეურაცხმყოფელია. მას არ გააჩნია არც „ხსოვნის“ და არც „მემორიალის“ არც ერთი ნიშანი. ჯობდა პირდაპირ გვეთქვა: ღამის ორიენტირიაო, ან უბრალოდ, შემკვეთის და ავტორის ამბიციააო!

**— ქალაქის ძველ უბანში გადებულ უფუნქციო „მშვიდობის ხიდზე“ რას იტყვით?**

— ხიდი – ძვირადღირებული სიამოვნებაა. მას აგებენ აუცილებლობის შემთხვევაში და აუცილებელ ადგილას. ამ საცალფეხო „მშვიდობის ხიდის“ აუცილობლობა არ არსებობდა. ამ მონაკვეთზე ორ სატრანსპორტო ხიდს შორის მხოლოდ 750 მეტრია. აქ არ არის და არც არასდროს იქნება ფეხით მოსიარულეთა დიდი ნაკადი. ხიდმა გადაფარა ულამაზესი ხედები ისტორიულ ქალაქზე, მეტეხზე, რომელიც გარემოს, ტაძრის და ქანდაკების ჰარმონიის უნიკალური მაგალითია, არანაკლებ საინტერესო ხედები კალაზე, ნარიყალაზე. ის არაკონტექსტური, მხატვრულად უცხო სხეულია ამ ურბანულ ქსოვილში.

არქიტექტურა ლოგიკის ხელოვნებაა, ამით განსხვავდება ის სახვითი ხელოვნებისგან. არქიტექტურაში სილამაზე, აღტაცება, სიხარული მიიღწევა ფუნქციური, კონსტრუქციული და ეკონომიკური ლოგიკით. ეს ხიდი გაგრძელებაა იმ ალოგიკური, დაუსაბუთებელი არაფრისმაქნისი მშენებლობებისა, რომლებიც არც თუ იშვიათობაა ჩვენს რეალობაში – აეროპორტის რკინიგზის ხაზი და რკინიგზის სადგურის შენობა, სამზერი კოშკი რიყეზე, ყოფილი შადრევანი გმირთა მოედანზე, დაუსაქმებელი ლითონის ხიდები გამზირებზე და სხვ.

**— ბატონი ვახტანგ, გასაგებია, რომ პროფესია „არქიტექტორი“ გულისხმობს სწორი პროფესიული რჩევა მისცეს დამკვეთს ობიექტის ფუნქციურ, ურბანულ მიზანშეწონილებაზე, რაც არ უნდა საზიანო იყოს ეს პირადად მისთვის. ამ თვალსაზრისით „მშვიდობის ხიდის“ ავტორმა (ავტორე[redacted]მ არ დაარღვიეს პროფესიული ეთიკა?**

[redacted] შეკითხვა ავტორთან (ავტორებთანძ, მი[redacted]ა თუ არა მას პროფესიული სინდისი (თ[redacted]მხოლოდ მის სინდისზე იქნებოდა დამო[redacted]ულიძ, ასეთი ხიდი გაეკეთებინა თავის ქვ[redacted]ი, ვთქვათ რომში მდინარე ტიბროსზე, ფ[redacted]ციაში – მდინარე არნოზე, ან ვენეციაშ[redacted]ლე გრანდეზე“?

[redacted] გვაქვს სრული ურბანული კრიზისი. ის[redacted]ია ბოლო ოცი წლის განმავლობაში სასი[redacted]ოდ აუცილებელი ქალაქმშენებლობით[redacted]ის უგულებელყოფისა...

[redacted]ები უნდა გადაარჩინონ ურბანისტებმა[redacted]ექტორებმა, სხვადასხვა დარგის ინჟი[redacted], ეკოლოგებმა, მეცნიერებმა – პროფესი[redacted]ებმა. ყველა ძალა უნდა გაერთიანდეს თ[redacted]ს გეგმის გარშემო და სრულფასოვა[redacted]ეგმისათვის.

**[redacted]უფალნო! – დაუბრუნეთ არქიტ[redacted]ა არქიტექტორებს!**

**ესაუბრა**
**სპარტაკ ქოზულია**

**უსაფრთხოება — მთავარი ამოცანა**

***უსაფრთხოებისთვის მთავარი საფრთხე რუსეთია.***

***საქართველო უსაფრთხოების ახალ კონცეფციაზე მუშაობს, ექვსი წლისა და ერთი ომის შემდეგ.***

***საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, რუსეთის ფაქტორი, ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენები და ქვეყნის საზღვრებთან შექმნილი ნებისმიერი არასტაბილურობა — ეს ახალი კონცეფციის საფრთხეებია.***

***დოკუმენტის პირველადი მონახაზი უკვე მზადაა და პარლამენტი მის განხილვას მიმდინარე კვირიდან შეუდგება. საკუთარი ხედვა ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეების შესახებ უშიშროების საბჭოს მდივანმა პარლამენტის თავმჯდომარეს და დეპუტატებს უკვე წარუდგინა.***

***2005 წელს მიღებული კონცეფციისაგან განსხვავებით, დოკუმენტში რუსეთი ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ იქნება მოხსენიებული.***

# კონცეფცია ექვსი წლისა და ერთი ომის შემდეგ

გიგა ბოკერიამ ქვეყნის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის შედგენაზე საპარლამენტო ზედამხედველობის აუცილებლობაზეც ისაუბრა.

**„ნებისმიერი არასტაბილურობა ჩვენი ქვეყნის საზღვრებთან, ბუნებრივია, ის ფაქტორია, რომელმაც შეიძლება ჩვენი ქვეყანა გამოწვევების წინაშე დააყენოს. მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებმა. ამ ტიპის დოკუმენტებზე საპარლამენტო ზედამხედველობის, პარლამენტის წევრების მონაწილეობის ტრადიცია ახლა იქმნება, თუმცა მნიშვნელოვანია, თუ როგორი იქნება ის საბოლოო დოკუმენტი, რომელსაც ერთად შევიმუშავებთ და რომელსაც მთელი საზოგადოება იხილავს. ეს პროდუქტი სწორედ მთელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალების ერთობლივი მუშაობით შეიქმნება“,** — განაცხადა ბოკერიამ.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ფუნდამენტური ცვლილებები, ავტორების განმარტებით, 2008 წელმა გამოიწვია.

უშიშროების საბჭოში აცხადებენ, რომ თუ 2005 წელს რუსეთ-საქართველოს შორის არსებული პრობლემების მშვიდობიანი ფორმატით მოგვარების იმედი არსებობდა, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, საპირისპირო გამოჩნდა.

რუსეთის გარდა, ახალ კონცეფციაში საფრთხედ მიჩნეულია ტერორიზმი.

როგორც უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ბათუ ქუთელია განმარტავს, უსაფრთხოების კონცეფციის მთავარი ამოცანა, განსაზღვროს პოლიტიკის პრიორიტეტები, რომელიც დღევანდელ რეალობაში საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეების გასანეიტრალებლად გატარდება.

**„ეს საფრთხეებია ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია, რუსეთის ფაქტორი და კიდევ სხვა გამოწვევები, რომლებიც რეგიონშიც დგას და გლობალურადაც. ასევე, ნებისმიერი არასტაბილურობა, რომელიც საქართველოს**



**საზღვრებთანაა, მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებიც, რადგან არის საფრთხე რომ ეს კონფლიქტები საქართველოს გადმოედოს. ამას ბუნებრივია, მომზადება და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება სჭირდება“,** — განაცხადა ქუთელიამ.

დასახელდა საფრთხეების განეიტრალების შესაძლო მეთოდებიც — ეროვნული და საერთაშორისო რესურსების კომბინაცია.

უშიშროების ყოფილი მდივანი და სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში ეკა ტყეშელაშვილი საფრთხეების შეფასების დოკუმენტის მიღების შემდეგ, ახალ კონცეფციაზე მუშაობას ლოგიკურ ნაბიჯად აფასებს, მით უმეტეს, რომ 2008 წლის შემდგომ მოვლენათა განვითარება ყველაფრისთვის სახელის დარქმევის საშუალებას იძლევა. ტყეშელაშვილი ამბობს, რომ მის დროინდელ კონცეფციაში რუსეთი პირდაპირი საფრთხის სტატუსით არ სარგებლობდა.

**„2005 წელს პირდაპირ იმის თქმა, რომ რუსეთი საფრთხეს წარმოადგენდა, არ ხდებოდა, იმ იმედით, რომ რუსეთის პოლიტიკა შეიცვლებოდა და სამშვიდობო პროცესის ფარგლებში მოგვარდებოდა ის პრობლემები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინაშე მაშინაც აქტუალურად იდგა. 2008 წლის შემდეგ, რაც რუსეთმა ღია აგრესია განახორციელა და დღესაც ოკუპირებული აქვს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 20%, ნათელია, რომ ასეთ კონცეფციაში ცალსახად უნდა იყოს აღნიშნული ის საფრთხე, რასაც რუსეთის პოლიტიკა დღეს ჩვენი ქვეყნისთვის წარმოადგენს“,** — განაცხადა ტყეშელაშვილმა.

უსაფრთხოების კონცეფციის განხილვის პროცესის მასპინძლები მოლაპარაკებების მაგიდასთან არასაპარლამენტო ოპოზიციასაც იწვევენ. კატეგორიულია „ლეიბორისტების“ უარი, ფიქრობენ „ „ეროვნულ საბჭოში“,

თანახმანი არიან „რესპუბლიკელები“, „ახალი მემარჯვენეები“ და „თავისუფალი დემოკრატები“.

დოკუმენტის განხილვაში საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობაზე ექსპერტებიც საუბრობენ.

ირაკლი სესიაშვილი „ინტერპრესნიუსთან“ ამბობს, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ცოცხალი ორგანიზმია და იგი მუდმივად განახლებას საჭიროებს, განსაკუთრებით კი, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ.

ექსპერტის თქმით, ის, თუ რამდენად მწვავედ დაფიქსირდება პრობლემები დოკუმენტში, პოლიტიკის ხელოვნების საქმეა.

**„ხელისუფლების გადასაწყვეტია, რამდენად მწვავედ სურთ მათ ამა თუ იმ პრობლემის დოკუმენტში დაფიქსირება, ვინაიდან, რიგ შემთხვევებში საჭიროა გარკვეული პოლიტიკური მეთოდების გამოყენება იმისთვის, რომ შენ არ მოიჭრა ის ტოტი, რომელზეც ზიხარ. მაგრამ ამ შემთხვევაში არც რეალობას უნდა გავექცეთ და ყველაფერს თავისი სახელი უნდა დავარქვათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დასავლეთიც იმავე პოლიტიკით იმოქმედებს და იმ პოლიტიკის ჩარჩოებში ჩაჯდება, რასაც ჩვენ შევთავაზებთ“,** — განაცხადა სესიაშვილმა.

მისივე განმარტებით, დოკუმენტი არ უნდა იყოს გამოყენებული პოლიტიკური განცხადებებისთვის, ან საკუთარი ხელისუფლების შესაქებად. ამის მაგალითად სესიაშვილს ერთი ფრაზა მოჰყავს: „მე გამაღიზიანა ფორმულირებამ, რომ რუსეთმა ვერ მიაღწია თავის მიზანს და ვერ დაამხო დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება. რეალურად კი რუსეთს აქვს გეოპოლიტიკური ინტერესები და არა რომელიმე ხელისუფლების დამხობის ინტერესი“.




მთავარი საფრთხის, აგრესორისა და ოკუპანტის სტატუსს რუსეთს საქართველოს პარლამენტი დოკუმენტურად, საკომიტეტო განხილვების დასრულებისთანავე, საგაზაფხულო სესიაზევე მიანიჭებს.

**ნინო წივწივაძე,**
**„ინტერპრესნიუსი“**

**კონკურსი**

# გამარჯვება სასახლის იუბილეს მიუძღვნეს

**ქალაქ ეკატერინბურგში გამართული ევრაზიის მეორე საერთაშორისო ახალგაზრდული სამოყვარულო ფოტოგრაფიის კონკურსი, „მსოფლიო ფედერაცია პლანეტაზე საყოველთაო მშვიდობისათვის“ თანადგომით მიმდინარეობდა.** კონკურსს ხელმძღვანელობდნენ: ევრაზიული განყოფილების თავმჯდომარე დოქტორი **კაცუმი ოცუკა** და გენერალური მდივანი **ჟაკ მარიონი.**



გურამ თიკანაძის სახელობის ფოტოკლუბ „სხივის“ წევრები კონკურსში მონაწილეობდნენ. ეკატერინბურგში საქართველოდან უნდა გამგზავრებულიყო დელეგაცია **ნიკა გაბედავას, თორნიკე შერაზადაშვილის, ბარბარე ასანიძის, ანა პიმენოვას, თამთა გოცაძის, რატი არახამიას და ნატალი კრივორუჩკოს** შემადგენლობით; მაგრამ მათ უარი თქვეს, რადგან საქართველო უნდა წარმოედგინათ მეექვსე დელფიურ თამაშებზე ერევანში და საერთაშორისო ფესტივალზე ბულგარეთში.

— არც ვნანობთ. სიმართლე გითხრათ, იმ ქალაქში ჩასვლა, სადაც მთელი რუსული შეიარაღება მზადდება, ჩვენთვის, პაციფისტებისათვის, დღესდღეობით მიუღებელია, — გვითხრა ბარბარე ასანიძემ, — გადავწყვიტეთ, მხოლოდ ჩვენი ფოტონამუშევრები გაგვეგზავნა. ამასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები მოაგვარა ფედერაციის „მსოფლიო მშვიდობა საქართველოში“ მოადგილემ — **ვიტალი მაქსიმოვმა.**

ევრაზიის კონკურსის ორგანიზატორების მიზანი იყო, მომავალი თაობისათვის მოეთხროთ გარდასული ომის ნამდვილი, პირუთვნელი ისტორია, რომელმაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

მე მრავალშვილიანი ოჯახის წარმომადგენელი — მეხუთე შვილი ვარ. მეც ბევრი ბავშვი მეყოლება და არ მინდა, რომ ისინი ომის მსხვერპლი გახდნენ.

ქალაქ ეკატერინბურგის შემოქმედთა სასახლეში კონკურსის — „მშვიდობა ჩემს სახლს!“ შემაჯამებელ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 500-ზე მეტი ნამუშევარი ევრაზიის კონტინენტის ქვეყნებიდან: შვეიცარიიდან, ნიდერლანდიდან, კორეიდან, იაპონიიდან და სხვა ახლო და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. საერთაშორისო ჟიურიმ მაღალი შეფასება მისცა ქართველების ნამუშევრებს. ახალგაზრდული სასახლის ყველა მოსწავლე დააჯილდოვეს სამახსოვრო სერთიფიკატით.

ევრაზიის მეორე საერთაშორისო ახალგაზრდული სამოყვარულო ფოტოგრაფიის კონკურსის **პირველი ადგილისა და ექსკლუზიური პრიზის მფლობელი ბარბარე ასანიძე გახდა,** ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეს —



**ნიკა გაბედავას მესამე ადგილი ხვდა წილად.** ნიკა ერევანში გამართული საერთაშორისო დელფიური თამაშების ლაურეატიც გახდა. ამდენად, იგი აგრძელებს გურამ თიკანაძის გზას.

ფოტოკლუბ „სხივის“ წევრები დიდ წარმატებებს უძღვნიან იუბილარ სასახლეს, ძვირფას პედაგოგებსა და ყველასთვის საყვარელ მთელ კოლექტივს.

**ნატა ნიბლაძე.**

**სურათზე: ევრაზიის მეორე საერთაშორისო ახალგაზრდული სამოყვარულო ფოტოგრაფიის კონკურსის პირველი ადგილის და ექსკლუზიური პრიზის მფლობელი ბარბარე ასანიძე.**

**ხომ უნდა მეთქვა?!**

# „ნოსტალგია“ კი არა, „მონატრება“, ძვირფასო სუხიშვილებო, „მონატრება!“

**რა თქმა უნდა, სასიამოვნო იქნებოდა ტელემაყურებლისთვის გუშინ საღამოს მოსმენილი ინფორმაცია და სიუჟეტი, რომ „სუხიშვილების“ ანსამბლი დიდი გატაცებით ამზადებს ახალ პროგრამას, რომელსაც „ნოსტალგია“ ჰქვია, ანუ ჩვენი ძვირფასი მოცეკვავეები პირვანდელი სახით აღადგენენ ცეკვებს, თავის დროზე ბატონმა ილიკო სუხიშვილმა და ქალბატონმა ნინო რამიშვილმა რომ დადგეს და, რომელთაც, ამ 45-50 წლის წინათ, დიდოსტატურად ასრულებდა სახელგანთქმული ანსამბლის უფროსი თაობა...** მართლაცდა, ნეტა იმ დროს, აბა, ფრიდონ სულაბერიძე და იამზე დოლაბერიძეო, აბა, ომარ მხეიძე, აბა, თენგიზ უთმელიძე, თენგიზ სუხიშვილი, ლატავრა ფოჩიანი, ინგა თევზაძე... მართლაც ქართული, მართლაც ეროვნული, მართლაც, მამა-პაპათაგან გადმოსული!..

ჰოდა, აღადგინენ ლეგენდარული ილიკოსა და ნინოს შვილიშვილები ყოველივეს! ისე, კაცმა რომ თქვას, მისავიწყებელი და ახლა აღსადგენი რა სჭირდა იმ ჭეშმარიტად ეროვნულ შემართებას?! ჰოდა, აღადგინენ... გაიმართება კონცერტი (ან კონცერტები), რომლისთვისაც „ნოსტალგია“ დაურქმევიათ „სუხიშვილებს“.

რათა, ჩემო კარგებო, რათა?! უცხო სიტყვათა ლექსიკონი განმარტავს — **„ნოსტალგია“ — „სამშობლოს სევდა“: სევდა გამოწვეული სამშობლოში დაბრუნების შეუძლებლობის გამო“.** ხედავთ?! ვითომ, ქართული — **„მონატრება“** რომ დაგერქმიათ ამ რეპერტუარისთვის, დაშავდებოდა რამე?! პირიქით!.. მაგრამ აქაც უცხოური, ამჯერად, ბერძნული არჩიეთ, თანაც არასწორი მნიშვნელობით!

ხომ უნდა მეთქვა?!

**ვილენ მარდალეიშვილი**

# რუსეთი და საქართველო: რა ხდება?

რუსეთი სხვა სიტუაციაშიც აღმოჩნდა საქართველოს მიმართ არცთუ ბოროტად განწყობილი: 1996 წლის იანვარში, დსთ-ის სახელმწიფო მეთაურთა სამიტზე საქართველოს ინიციატივითა და რუსეთის ფედერაციის მხარდაჭერით, აფხაზეთის წინააღმდეგ შემოიღეს ეკონომიკური სანქციები. ამ სანქციებმა აფხაზები ურთულეს ვითარებაში ჩააგდო, აფხაზური ეკონომიკა რამდენიმე წლის მანძილზე, ფაქტობრივად, არ ვითარდებოდა, აფხაზი სეპარატისტები შეშფოთებულნი იყვნენ საქართველოს გავლენის ზრდით... არძინბა იძულებული გახდა, 1997 წლის ზაფხულში, ისევ და ისევ რუსეთის შუამავლობით, თბილისში ჩამოსულიყო და დიალოგი დაეწყო საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან...

მაგრამ...

რას აკეთებდა ამ დროს საქართველო? რამდენად სწორად ვიყენებდით რუსეთის მიერ მოცემულ ამ შანსებს?

ეს შეკითხვა, პირველ რიგში, ისევ პრეზიდენტ შევარდნაძეს ეკუთვნის, როგორც სახელმწიფოს მაშინდელ მეთაურს, სამწუხაროდ და საუბედუროდ, ნაცვლად რუსეთთან დაახლოებისა და ამ გზით ქვეყნის აღორძინებისა, სეპარატისტებზე ზეწოლისა, შევარდნაძის კურსი 1995 წლის მეორე ნახევრიდან (შევარდნაძეზე გათამაშებული 29 აგვისტოს „ტერაქტი"ძ აშკარად პროდასავლურია. ცალმხრივად პროდასავლური (პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატებისადმი სრული მორჩილებისძ კურსი წლიდან წლამდე ძლიერდებოდა.

დავიწყოთ საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის ყველაზე მნიშვნელოვანი წამოწყებით: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის იდეის განხორციელებით, რაც რუსეთის ენერგეტიკულ ინტერესებს ძირეულად ეწინააღმდეგებოდა, საქართველო კი არანაირი რეალური ეკონომიკური დივიდენდის მომტანი არ იყო.

ცნობისათვის: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის (მისი მშენებლობა დაიწყო 2003 წლის აპრილში, დასრულდა 2005 წლის დასაწყისშიძ სიმძლავრე წელიწადში შეადგენს მაქსიმუმ 50 მილიონ ტონა ნავთობს. საქართველოს იმთავითვე დაადებინეს კაბალური ხელშეკრულება ნავთობის ტრანზიტთან დაკავშირებით. კერძოდ, 1 ბარელი ნავთობის საქართველოს ტერიტორიაზე, ტრანზიტით გათვალისწინებული თავდაპირველი 20 ცენტის ნაცვლად, საქართველოს შეაჩეჩეს 12-ცენტიანი ტარიფი პირველი ხუთი წლის განმავლობაში, რომელიც შემდეგი 11 წელიწადი მხოლოდ 14 ცენტამდე ბარელზე გაიზრდება და ამის შემდეგ ეღირება 17 ცენტი... ისე, კაცმა რომ თქვას, 20 ცენტიც ბარელ ნავთობზე ბევრი არაფერია (1 ბარელი ნავთობი უდრის 158, 987 ლიტრ ნავთობსძ, მაგრამ ჩვენი ქვეყნისთვის თავს მოხვეული ტარიფები საერთოდ სასაცილოა. მაშინ, როდესაც რუსეთზე 1 ტონა ნავთობის ტრანზიტი აზერბაიჯანისთვის 15,67 აშშ დოლარს შეადგენდა, იმავე რაოდენობის ნავთობის ტრანზიტი აზერბაიჯანს საქართველოს ტერიტორიაზე 0,78-1,10 აშშ დოლარს შორის უჯდებოდა. ინგლისური სააგენტო „როიტერის" მონაცემებით, საქართველოს 1999 წლის ნოემბრის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე მაქსიმუმ 18 ცენტის მოთხოვნის უფლება აქვს 1 ბარელი ნავთობის ტრანზიტის საფასურად. საერთო ჯამში გამოდის, რომ საქართველოს ბიუჯეტი ამხელა ვაი-უშველებელი პროექტის განხორციელების შედეგად, რომელმაც რუსეთთან ჩვენი დაპირისპირება გაამძაფრა და გარდა ამისა, ქართული ეკოლოგია საფრთხის ქვეშ დააყენა (ისევე როგორც ძველი ქართული ტაძრები ნავთობსადენის მარშრუტზე სამხრეთ საქართველოშიძ, წელიწადში უხეში გამოთვლებით მხოლოდ 50-60 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით ივსება. ეს სასაცილო თანხაა სახელმწიფოსათვის.

შევარდნაძის მრჩევლები პირად საუბრებში და ნაწილობრივ პრესის ფურცლებზეც არ მალავდნენ, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი იმდენად ეკონომიკური მოსაზრებებით არ ხორციელდება, რამდენადაც საქართველოს დასავლეთის ინტერესების სფეროში მოქცევის პოლიტიკური სურვილით. ასეთივე სურვილს ეფუძნებოდა საქართველოს გავლით შუა აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი „დერეფნის", ე.წ. დიდი აბრეშუმის გზის შექმნის იდეა. ეს იდეა, ისევე როგორც ნავთობსადენის გატარების იდეა, დასავლეთის მიერ იყო შემოგდებული, სატრანსპორტო და ენერგეტიკულ პროექტებში რუსეთის თამაშგარე მდგომარეობაში ჩაგდების მიზნით (დავხედოთ ქვევით მოცემულ რუკასძ.

მაშასადამე, საქართველოსათვის ეკონომიკური ამონაგები ამ პროექტებიდან იყო მიზერული, ხოლო პოლიტიკური დანაკარგი უდიდესი – რამდენიმე ათეული მილიონი დოლარის გამო კიდევ უფრო მეტად დავუპირისპირდით დიდ მეზობელს, რომელსაც მძლავრი ბერკეტები ჰქონდა და აქვს ჩვენთან მიმართებით. თუმცა რუსეთის გაღიზიანება ამ „დიდი" პოლიტიკური გადაწყვეტილებებით არ ამოიწურებოდა, ჩვენი პოლიტიკური „ელიტის" სიბრიყვეს საზღვარი არ უჩანდა, ამ სიბრიყვეს კი ზედ გამყიდველობაც დაერთო – ოღონდ კი დასავლეთისთვის ესიამოვნებინათ და რას აღარ აკეთებდნენ რუსეთის ჯიბრზე, კრიჭაში ედგნენ ამხელა ქვეყანას – მეზობელ სახელმწიფოს...

მოვლენებს ქრონოლოგიურად ცოტა წინ გავუსწრებთ და მკითხველს მოვაგონებთ საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩეჩნეთის მეორე ომში დაკავებულ პროჩეჩნურ პოზიციას, როდესაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორია ჩეჩენ საველე მეთაურებს – რუსლან გელაევსა და სხვებს მიეცათ სათარეშოდ, რამაც, ბუნებრივია, განარისხა რუსეთის ხელისუფლება ახლად არჩეულ პრეზიდენტ პუტინით სათავეში. შევარდნაძის ერთი დასამახსოვრებელი ტელეინტერვიუს მიხედვით, გელაევი თურმე „განათლებული კაცი" ყოფილა, „უმაღლესი" ჰქონია დამთავრებული და ამიტომ რა სათაკილო იყო საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრა მასთან... ამ ფაქტს კომენტარი არ სჭირდება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჩეჩნების გააქტიურება საქართველოში პროვოკაციულ ხასიათს ატარებდა, რუსეთი და საქართველო ერთმანეთს უნდა „დატაკებოდნენ"...

გულუბრყვილო უნდა იყოს ადამიანი, რომ ამ სცენარში ამერიკის ხელი ვერ დაინახოს – 1990-იანი წლების მიწურულისათვის ამერიკელთა გავლენა შევარდნაძის კარზე ტოტალური იყო: შევარდნაძეს უკვე გამოცხადებული ჰქონდა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში (ნატოძ საქართველოს შეყვანის მიზანი („2005 წელს უკვე ნატოს კარს მივუკაკუნებთ"ძ, რუსეთის ჯიბრით იგი და მისი გარემოცვა მიესალმნენ ნატოს მიერ იუგოსლავიის დაბომბვას (რის შედეგადაც იუგოსლავიას წაართვეს მისი ძირძველი მიწა – კოსოვო და დღეს ჩვენ ამის შედეგებს ვიმკით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, როდესაც სახელმწიფოთა ტერიტორიული ურღვევობის პრიმატზე უარი თქვა დასავლეთმა და დასავლეთის შემხედვარე – რუსეთმაცძ, რადიკალურად პროდასავლური და უფრო პროამერიკული ე.წ. ჟვანია-სააკაშვილის გუნდი საკადრო პოლიტიკას წყვეტდა მთავრობაში (მათი ზეწოლით თანამდებობიდან წავიდნენ შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე, უშიშროების მინისტრი ვახტანგ ქუთათელაძე, ცოტა მოგვიანებით ბინძური კამპანია აგორდა შევარდნაძის მთავარი დასაყრდენის – უშიშროების საბჭოს მდივნის ნუგზარ საჯაიას წინააღმდეგ, რომელმაც „თავი მოიკლა" და ა.შ.ძ. ხოლო „ტერორიზმთან ბრძოლის" საბაბით 2002 წლის დასაწყისში გამოცხადდა საქართველოში ამერიკელი სამხედრო „ინსტრუქტორების" მოვლინების შესახებ...

ქვემოთ ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის (თავის მაშინ ჯერ კიდევ მცირეწლოვან შვილ ედუარდთან ერთადძ ერთობლივი ფოტოსურათის გამოქვეყნება გვინდოდა, გადაღებული თბილისში 1999 წელს. შევარდნაძე მხარს უჭერს ვაკის რაიონის დეპუტატობის კანდიდატ სააკაშვილს და თან „ხუმრობით" აცხადებს: „აი, ესაა საქართველოს მომავალი პრეზიდენტი!". მაგრამ ჩვენ ვერსად მოვიძიეთ იმჟამად ფართოდ ტირაჟირებული ფოტომასალა – ვერც ინტერნეტისა და ვერც ჩვენი ნაცნობი ჟურნალისტების საშუალებით. აშკარაა: დღევანდელ რეჟიმს არ სურს ამგვარი გახსენებები, სააკაშვილის დაკავშირება შევარდნაძესთან, ამიტომ მსგავსი ფოტოები „გამქრალია".



მაგრამ ეს ყველაფერი გასცდა პოლიტიკის ფარგლებს, საქართველოში დავუშვით ის ფაქტი, რომ ერთ ავანტიურისტ ტიპაჟს, ვინმე ხიზრი ალდამოვს, რომელიც აქ „ჩეჩნეთის ხელისუფლების წარმომადგენლად" იყო გამოცხადებული, საჯაროდ მიეცა იმის უფლება, რომ შეურაცხყოფა მიეყენებინა რუსეთის პრეზიდენტ პუტინისათვის. მკითხველს შევახსენებთ: გაგანია ჩეჩნეთის ომის დროს, 2000 წელს, „ჩეჩნური დელეგაცია" ალდამოვის მეთაურობით ეწვია კასპის რაიონის სოფელ მეტეხში მცხოვრებ რუსი ეროვნების ერთ მოხუც ქალბატონს, რომელიც თავს ვლადიმერ პუტინის დედად აცხადებდა. ამ ქალბატონს ალდამოვმა გადასცა ტომარა ფქვილი, ზეთი, შაქარი და სხვა პირველადი მოხმარების პროდუქტები. ეს ფაქტი ყველა ქართულმა ტელეარხმა ფართოდ გააშუქა. ალდამოვმა საჯაროდ, ტელეკამერების წინ, „მიმართა" პუტინს, დაახლოებით ასე: „პუტინ, შენ ჩეჩნეთს ანადგურებ და ჩვენ, ჩეჩნები, ხომ ხედავ, დედაშენს, რომელიც შენ არ გახსოვს, საკვებს ვუზიდავთ!".. თავი დავანებოთ იმას, სოფელ მეტეხში მცხოვრები ქალბატონი მართლა პუტინის დედაა თუ არა, ნებისმიერ შემთხვევაში რუსეთის მაშინდელ პრეზიდენტს მიაყენეს პიროვნული შეურაცხყოფა, ეს, ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის... თუმცა ჩეჩნების მიერ პუტინისადმი მიყენებული შეურაცხყოფა უფრო „რაფინირებული" აღმოჩნდა, ვიდრე შემდგომში დამკვიდრებული „სააკაშვილის სტილი": პუტინის პრიმიტიული მოხსენიება „ლილიპუტინად"... როგორც ერთმა გლეხმა თქვა ამაზე მთიულეთში: „კიდევ ბევრს გვითმენს ეს პუტინი!".

„რეფორმატორთა", ანუ „ჟვანია-სააკაშვილის გუნდი", რომელიც 1990-იანი წლების მეორე ნახევარში განსაკუთრებით გაძლიერდა, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მიზანმიმართულად ეწეოდა პროვოკაციებს ქართულ-რუსული ურთიერთობების გასაფუჭებლად. ეს ასახულია იმდროინდელ პრესაში. რომ გადავხედოთ იმ პერიოდის გაზეთებს, ანტირუსული პროპაგანდის ბევრ ნიმუშს აღმოვაჩენთ „რეფორმატორთა" ავტორობით. მაგრამ აქ მხოლოდ ერთ მეტად საინტერესო მაგალითს გავაცნობთ ჩვენს მკითხველს, რომელიც მასმედიაში ჯერ არ გაშუქებულა. პრეზიდენტ შევარდნაძის ყოფილი მრჩეველი, ცნობილი პუბლიცისტი ბატონი თემურ მირიანაშვილი, რომელიც 1990-იანი წლების შუა ხანებში იმჟამინდელი პრეზიდენტის დავალებით რამდენიმეკაციანი ჯგუფის შემადგენლობაში (ნიკო ჭავჭავაძე, ალექსი გერასიმოვი, თეიმურაზ ჭანტურიშვილიძ რუსეთის პოლიტიკისა და საზოგადოების სპექტრთან დიალოგს აწარმოებდა, სპეციალურად წინამდებარე გამოცემისთვის იხსენებს საქართველოში 1996 წელს რუსი პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა წარმომადგენლობითი დელეგაციის ვიზიტის დეტალებს:

„1996 წლის ნოემბერში ჩვენი ჯგუფის ძალისხმევით საქართველოს ეწვია წარმომადგენლობითი რუსული დელეგაცია ჩერნომირდინის მთავრობის ვიცე-პრემიერისა და შეთავსებით ფინანსთა მინისტრის – ალექსანდრ ლივშიცის ხელმძღვანელობით. დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ იმჟამინდელი სახელმწიფო ბლოკის „ნაშ დომ როსიის" საპარლამენტო ფრაქციის ხელმძღვანელი სერგეი ბელიაევი, ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის მინისტრი სერგეი გრიზუნოვი, ძალზე პოპულარული ჟურნალისტი ალექსანდრ ლიუბიმოვი დასხვები (სულ დაახლოებით სამი ათეული კაციძ. რუსულმა დელეგაციამ საქართველოში სამი დღე დაჰყო, გაიმართა შეხვედრები სხვადასხვა დონეზე, ეს შეხვედრები მეტად თბილ, მეგობრულ გარემოში წარიმართა, მიღწეულ იქნა გარკვეული შეთანხმებები. ლივშიცი ურთიერთობების გაუმჯობესებასა და დაახლოებაზე საუბრობდა, აფხაზეთის ომით გამოწვეული გართულებების გადალახვას ესწრაფოდა. იგი ქართულ მხარეს ქმედით დახმარებას დაჰპირდა ჩვენი ეკონომიკის სტიმულირებაში, ქართული პროდუქციის რუსეთში უფრო ფართოდ გავრცელების გზით, იგეგმებოდა ერთობლივი რუსულ-ქართული ეკონომიკური პროექტების შემუშავება.

სტუმრებთან გამოსამშვიდობებელი შეკრება (ეს ამბავი წინანდალში ხდებოდა, თბილისიდან ჩამოსული მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებისა და ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლების მონაწილეობითძ მეტად გულითად გარემოში მიმდინარეობდა. რუსმა სტუმრებმა თავიანთი ინიციატივით გვითხრეს, რომ ისინი ქართულ მხარეს ტრიბუნას დაუთმობდნენ რუსეთში, რათა იქ ქართველთა სიმართლე გაეგოთ ეთნოკონფლიქტებთან დაკავშირებით (სიტყვასიტყვით ასე ითქვა: „Чтобы услышали вашу правду"ძ. შეხვედრის ბოლოს კი სიტყვა მოითხოვა იმ დილით თბილისიდან ჩამოსულმა ვიღაც აყლაყუდა ახალგაზრდამ, რომელსაც მე იმ მომენტამდე არასოდეს შევხვედრივარ. ამ ახალგაზრდამ, როგორც იტყვიან, მოაღო პირი და სიტუაციის არაადეკვატურად წამოიწყო რუსეთის ლანძღვა, თან იძახდა, ჩვენ ამერიკის დახმარებით ამას ვიზამთ და იმას ვიზამთო. კარგად დამამახსოვრდა, რატომღაც ასეთი „არგუმენტიც" მოიშველია – თვითმფრინავი თბილისიდან ვენაში უფრო მალე ჩადის, ვიდრე მოსკოვშიო... ეს აშკარად ჩამოყალიბებული გიჟის და ამავე დროს პროვოკატორის გამოსვლა იყო. ამ პროვოკატორში პარლამენტის იურიდიული კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი ამოვიცანი. თავისი პროვოკაციული გამოსვლით სააკაშვილმა მიაღწია მიზანს და გაოგნებული რუსული დელეგაციის ხელმძღვანელი ალექსანდრ ლივშიცი წყობიდან გამოიყვანა, რომელმაც დაუყვირა პროვოკატორს: „შენ მე თითის ქნევით ნუ მელაპარაკები!" ამაზე სააკაშვილმა რუსეთს კიდევ უფრო გაძლიერებული ლანძღვით უპასუხა...

სააკაშვილი რეგლამენტით გათვალისწინებული ბოლო გამომსვლელი იყო, ამიტომ სიტყვა ვეღარ ავიღე, რათა თავისი ადგილი მიმეჩინა გათავხედებული პროვოკატორისათვის. ამასთან, მართალი გითხრათ, მოულოდნელობისგან საკმაოდ შოკირებულიც ვიყავი. როგორც ჩანს, ქართული დელეგაციის სხვა წევრებიც ჩემს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. სიტუაცია გაფუჭდა, ამდენი ხნის მოლაპარაკებები, ფაქტობრივად, წყალში ჩაიყარა. რუსმა სტუმრებმა არ გვაგრძნობინეს, ძალიან თბილად და თავაზიანად დაგვემშვიდობნენ, მაგრამ მე თვითონ ვგრძნობდი, რომ გულდაწყვეტილები იყვნენ.

**გულბაათ რცხილაძე,**
**გიორგი ვეკუა**

(გაგრძელება იქნება)




სურათზე: რეგიონის რუკა. აშკარაა, რომ „კავკასიური დერეფანი" ხელოვნურ ხასიათს ატარებს და მისი რეალური მიზანი რუსეთის გეოპოლიტიკური იზოლირებაა. ენერგორესურსებით მდიდარი შუა აზია დასავლეთს რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით უნდა დაუკავშირდეს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 31.

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# კავკასია და შუა აზია: ვინ უფრო აქტიურად სარგებლობს ლობისტების მომსახურებით?

**როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური დოკუმენტებიდან ჩანს, საქართველო უსწრებს კავკასიისა და შუა აზიის ყველა ქვეყანას იმ სახსრების ოდენობით, რასაც იგი ხარჯავს ვაშინგტონელ ლობისტებზე.**

2010 წელს საქართველომ გააფორმა კონტრაქტები ოთხ ლობისტურ ფირმასთან, მათ შორის ყველაზე გავლენიანებთანაც ვაშინგტონის კომპანიებში საერთო თანხით, როგორც მინიმუმ 1,5 მილიონი დოლარის ოდენობით. აზერბაიჯანი და ყაზახეთი სარგებლობენ ლობისტების მომსახურებით მხოლოდ ერთ ფირმაში, რომელიც წარმოადგენს მათს ინტერესებს ვაშინგტონში და ამაზე ხარჯავენ გაცილებით ნაკლებს.

თუ ვივარაუდებთ, რომ 2010 წლის ციფრები არის შედარებითი, მაშინ საქართველო გამოდის ლიდერად ლობისტური კომპანიების უცხოელ კლიენტთა შორის. 2009 წელს ორგანიზაციამ „სანლაით ფონდეიშენ" განსაზღვრა ამ თვალსაზრისით წამყვანი ქვეყნების ათეული და მეათე ქვეყანამ მათ შორის, ტაივანმა, აღნიშნული მიზნებით დახარჯა დაახლოებით 1,55 მილიონი დოლარი. თურქეთმა, რომელმაც მერვე ადგილი დაიკავა, დახარჯა ლობისტებზე დაახლოებით 1,68 მილიონი დოლარი.

ლობისტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამბიციური განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომლებიც, ჩვეულებრივად, ვერ დაიტრაბახებენ გამოცდილი დიპლომატიური კადრებით, აღნიშნავს „სანლაით ფონდეიშენის" უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ბილ ელისონი. ამ ქვეყნებმა უნდა მოაწესრიგონ ურთიერთობანი კონგრესთან, სახელმწიფო დეპარტამენტთან და თავდაცვის სამინისტროსთან და შეიძლება მათთვის აზრი ჰქონდეს გადაუხადონ გავლენიან ამერიკელებს, რათა მათთვის წარმართონ მუშაობა, აღნიშნავს იგი.



„იმის ნაცვლად, რომ გამოაგზავნონ აქ ქართველები კონტაქტების სწრაფად მოსაწესრიგებლად, ისინი ქირაობენ ადამიანებს, რომლებიც ოდესღაც მუშაობდნენ ხსენებულ სააგენტოებში, ანდა იმ ხალხს, ვინც დაკავშირებულია ამ სააგენტოებთან, ანდა სულაც პოლიტიკურ მოთამაშეებს, რომლებიც მოახდენდნენ გავლენას ვაშინგტონზე", – აღნიშნავს ბილ ელისონი.

ამ ქვეყნებისთვის აგრეთვე ზოგჯერ მეტად სასარგებლოა ვაშინგტონელი წარმატებული ადამიანები, რომლებიც ჩვეულებრივად სათავეში უდგანან ლობისტურ ფირმებს და რომლებსაც შეუძლიათ უფრო მეტი გავლენა მოახდინონ, ვიდრე მათი მშობლიური ქვეყნის წარმომადგენლებმა, დაუმატა მან.

მართალია, სომხეთს ამჟამად არ ჰყავს თავისი ლობისტები ვაშინგტონში, მაგრამ ამერიკაში არის რამდენიმე გავლენიანი სომხეთ-ამერიკის ორგანიზაცია, რომლებიც იცავენ ერევნის ინტერესებს. ნაწილობრივ ამ მიზეზით აზერბაიჯანი მეტად აქტიურად სარგებლობს იმ ლობისტური ფირმების მომსახურებით, რომლებიც დაფუძნდნენ კეისტრიტზე, აღნიშნავს ევროპის, რუსეთისა და ევრაზიური კვლევების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე კერი უელტი.

უელტის სიტყვებით, საქართველოს დიდი იმედი აქვს თავისი ალიანსისა შეერთებულ შტატებთან და ეს არის ერთ-ერთი წამყვანი ფაქტორიც საქართველოს ხარჯებისა ამ მიზნით. „კავკასიისა და ცენტრალური აზიის ყველა ქვეყანას შორის საქართველო, შეიძლება, უკვე ყველაზე ღრმად ჩაიძირა ვაშინგტონის ატმოსფეროში და ამიტომ ყველაზე უკეთ ესმის, თუ როგორ კეთდება აქ საქმე, – აღნიშნავს იგი. – მას აგრეთვე ამოძრავებს რწმენა, რომ ჰყავს გაცილებით უფრო მეტი გავლენიანი მოწინააღმდეგე (რუსეთი) მისი მოწესრიგებული მიდგომით ვაშინგტონისადმი, თუ გავითვალისწინებთ ბარაკ ობამას ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებულ პრიორიტეტულ მიზანს, ამერიკა-რუსეთის ურთიერთობათა „გადატვირთვასთან" დაკავშირებით.

„მთავრობა და საელჩო მუდმივად მუშაობენ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების განმტკიცებაზე შეერთებულ შტატებთან, რომელიც გახლავთ დამოუკიდებელი მოკავშირე ჩვენი დემოკრატიის აგებისა და საბაზრო ეკონომიკის საქმეში", – აღნიშნავს საქართველოს საელჩოს ოფიციალური წარმომადგენელი ვაშინგტონში ნათია ზამბახიძე.

როდესაც მივმართავთ ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ჩვენ ასევე მიზნად ვისახავთ, ვუამბოთ საქმიან გაერთიანებას და ფართო ამერიკულ საზოგადოებრიობას საქართველოში განხორციელებული რეფორმებისა და საინვესტიციო შესაძლებლობის შესახებ, – დაუმატა მან. – როდესაც ვაღრმავებთ ჩვენს ურთიერთობას აქ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩვენ ვიყენებთ ბევრი ხალხის ცოდნასა და გამოცდილებას, მათ შორის ჩვენი კონსულტანტებისაც".

უკანასკნელ პერიოდში საქართველომ გაააქტიურა თავისი ლობისტური საქმიანობა მაშინ, როდესაც აზერბაიჯანმა და ყაზახეთმა შეამცირეს ხარჯები ამ მიზნებზე. 2008-2009 წლებში აზერბაიჯანმა სხვადასხვა ფირმებს გადაუხადა მთლიანად 1,3 მილიონი დოლარი, საქართველომ – 1,4 მილიონი დოლარი, ყაზახეთმა – 1,7 მილიონი დოლარი. არც ერთ სხვა ქვეყანას და სხვა სტრუქტურას არ უცდია გამოეყენებინა ლობისტური კომპანიების მომსახურება ვაშინგტონში.

აზერბაიჯანმა 2009 და 2010 წლების უდიდესი ნაწილი ულობისტებოდ გაატარა, 2010 წელს ხელი მოაწერა კონტრაქტს ერთ-ერთ კომპანიასთან. ხელშეკრულება, რომელიც წარდგენილია იუსტიციის სამინისტროში, არ შეიცავს კონკრეტულ მონაცემებს იმასთან დაკავშირებით, თუ, კერძოდ, რომელი საკითხები წარმოადგენს ბაქოსთვის განსაკუთრებულ ინტერესს. მასში მხოლოდ ნათქვამია, რომ კომპანიის ამოცანა იქნება „გაუწიოს საკონსულტაციო მომსახურება და თანამშრომლობა ამერიკა-აზერბაიჯანის ორმხრივ ურთიერთობებს".

საქართველოს ინტერესები ლობირების სფეროში, ძირითადად კონცენტრირებულია უშიშროების საკითხებზე, აგრეთვე გამართული შეხვედრები ორიენტირებულია ინფორმირების ამაღლებაზე რუსეთის საქმიანობის შესახებ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. თუმცა, თანამშრომლობაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ქართველი ლობისტებისთვის ასევე ერთ-ერთი პრიორიტეტია: მაგალითად, 2010 წელს ფირმა „პოდესტა გრუპის" წარმომადგენლები მრავალჯერ ცდილობდნენ მოეწყოთ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ინტერვიუ სხვადასხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან. კომპანიის სპეციალისტები ასევე ცდილობდნენ მოეთხროთ თავიანთ გამოცემებში ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის ეკა ტყეშელაშვილის შესახებ.

EURASIANET.ORG

---

# ვაშინგტონი შუა აზიისა და კავკასიისთვის დახმარებას ამცირებს

**ახალი ბიუჯეტის თანახმად, რომელიც წარმოადგინა ობამას ადმინისტრაციამ 14 თებერვალს, შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს შეამციროს კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნების უმრავლესობისთვის დახმარების პროგრამების დაფინანსება.**

მნიშვნელოვნად შემცირდება დახმარება აზერბაიჯანისთვის, ხოლო დახმარება საქართველოსთვის, ტაჯიკეთისთვის, თურქმენეთისა და უზბეკეთისთვის, შარშანდელთან შედარებით, მხოლოდ ოდნავ შემცირდება. დახმარება მნიშვნელოვნად გაიზრდება მხოლოდ ყაზახეთისთვის. მთლიანად კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებისათვის დახმარების ასიგნაცია შემცირდება დაახლოებით ოთხი პროცენტით – 241 მილიონი დოლარიდან 232 მილიონ დოლარამდე, მაშინ, როდესაც სახელმწიფო დეპარტამენტის ბიუჯეტი მთლიანად გაიზრდება დაახლოებით ერთი პროცენტით.

ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი ამავე დროს უნდა დაამტკიცოს კონგრესმა, რომელსაც შეუძლია შეიტანოს მასში ცვლილებები. მაგრამ სამთავრობო პროექტი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ თეთრი სახლის სტრატეგიული პრიორიტეტები. საკითხი შეეხება 2012 წლის ფისკალური წელიწადის ბიუჯეტს, რომელიც 2011 წლის ოქტომბერში იწყება.

ნავარაუდევია აგრეთვე, სამხედრო დახმარების შემცირება დაახლოებით 8 პროცენტით – 36,7 მილიონი დოლარიდან, რაც შარშან ადმინისტრაციამ მოითხოვა, 34 მილიონამდე. ამ დახმარების ნახევარზე მეტი – 18 მილიონი დოლარი – გათვალისწინებულია საქართველოსთვის. ძირითადად რეგიონის ყველა ქვეყნისთვის, უზბეკეთის გამოკლებით, სამხედრო დახმარება ან ოდნავ მცირდება, ან რჩება წინა დონეზე. დახმარება უზბეკეთისთვის ოდნავ გაიზრდება: იგი მიიღებს 100 ათას დოლარს უცხოეთის სახელმწიფოების სამხედრო დახმარების დაფინანსების პროგრამით. ეს იქნება პირველი ფული, რომელსაც იგი მიიღებს ამ პროგრამით 2005 წლიდან, როდესაც ქვეყნის დახმარება შეწყდა ანდიჟანში ხოცვა-ჟლეტის შემდეგ.

საქართველოს ასევე შეხვდება სამოქალაქო დახმარების დიდი ნაწილი – 66,7 მილიონი დოლარი, შარშან ბიუჯეტში ჩადებული იყო თანხა 68,6 მილიონის ოდენობით. განმარტებით დოკუმენტებში მითითებულია, რომ საქართველოს დახმარება დაკავშირებულია მის ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეფორმებთან.

სახელმწიფო დეპარტამენტის აზრით, დახმარება, რომელსაც უწევენ საქართველოს, უნდა დაეხმაროს მას „განამტკიცოს უფლებათამოსილებათა განაწილება, ახალი სული შთაბეროს სამოქალაქო საზოგადოებას, გაძლიერდეს პოლიტიკური პლურალიზმი, ხელი შეუწყოს დამოუკიდებელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარებას და ინფორმაციისადმი თავისუფალ მიდგომას, ეკონომიკის ალმავლობას, ენერგეტიკული უშიშროების ზრდასა და სოციალური სექტორის შემდგომ რეფორმებს".



ყირგიზეთი და ტაჯიკეთი ყველაზე მეტ დახმარებას მიიღებენ შუა აზიაში – 40,8 მილიონ დოლარსა და 38,8 მილიონ დოლარს შესაბამისად. როგორც ყირგიზეთის სახელმწიფო დეპარტამენტი აცხადებს, მათ მიიღეს პრიორიტეტული სტატუსი თავიანთი მცდელობის გამო – გადავიდნენ საპარლამენტო დემოკრატიაზე. „ამ ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს ყირგიზეთის რესპუბლიკისთვის დახმარების გაწევას პრიორიტეტული წესით, ვინაიდან აუცილებელია ახალი მთავრობის ძალისხმევის მხარდაჭერა, რომელიც ცდილობს განახორციელოს საკვანძო ინსტიტუტებისა და სამართალდაცვის ორგანიზაციების რეფორმები, აგრეთვე გამოიყენოს ეკონომიკური შესაძლებლობანი", – წერს სახელმწიფო დეპარტამენტი დოკუმენტის განმარტებაში. ამ დროს დახმარების სავარაუდო მოცულობა 2012 საფინანსო წელს იქნება მხოლოდ ოდნავ მეტი შარშანდელ, ჯერ კიდევ კურმანბეკ ბაკიევის მთავრობის დროს მოთხოვნილთან შედარებით, 40,3 მილიონი დოლარი.

EURASIANET.ORG

---

## შპს „თამუნიას" დამფუძნებელი პარტნიორის საჯარო პუბლიკაცია

შპს „თამუნია" (ს/კ:200005895) აქვეყნებს ამონაწერს 13.12.2010წ. პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილიდან:

1. გათავისუფლებულ იქნას თამარ მჭედლიშვილი დირექტორის თანამდებობიდან

2. დირექტორად დაინიშნოს ლედი კოპაძე (დაბადებული 16.11.1943წ. ბორჯომში, პირადი № 01008038402, მცხოვრები ქ. თბილისში, ნუცუბიძის მე-3 მ/რ, შატილის 3, კორპ.4) სრული და შეუზღუდავი ერთპიროვნული მმართველობის უფლებამოსილებით.

4. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი გაიზარდოს 10000 (ათი ათასი) ლარამდე, შესაბამისად დაევალოთ პარტნიორებს შენატანების განხორციელება მათი წილების პროპორციულად.

შპს „თამუნია" აქვეყნებს 2011 წლის 24 თებერვალს დანიშნული პარტნიორთა საერთო კრების დღის წესრიგს:

1. საზოგადოების მიერ 2010 წლის 13 დეკემბერს არჩეული ახალი დირექტორის ლედი კოპაძის უფლებამოსილების სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით მარეგისტრირებელ ორგანოში შესაძლო დამატებითი დოკუმენტების წარდგენის უზრუნველყოფა.

2. წინა დირექტორის თამარ მჭედლიშვილის გათავისუფლების და/ან საწესდებო კაპიტალში შენატანის ვალდებულებაზე გაფრთხილების უზრუნველსაყოფად მასზე შეტყობინების დაგზავნის წესის განსაზღვრის შესახებ.

3. საზოგადოების პარტნიორის თამარ მჭედლიშვილის მიერ საწესდებო კაპიტალში შენატანის განხორციელებისათვის ვადის დაწესების შესახებ, ხოლო შენატანის განუხორციელებლობის შემთხვევაში წილზე უფლების დაკარგვის შესახებ.

4. საზოგადოების დირექტორის შეცვლის შეუძლებლობის შემთხვევაში მეორე დირექტორად ლედი კოპაძის დანიშვნა.

5. პარტნიორთა მიერ თამარ მჭედლიშვილის მიმართ სასამართლოში საქმის აღძვრის შესახებ.

6. წესდების 7.1 მუხლის საფუძველზე საზოგადოების კორესპონდენციის პრესაში პუბლიკაციის შემდეგ შეტყობინების ჩაბარებულად ჩათვლის შესახებ.

საზოგადოების დამფუძნებელი
ლედი კოპაძე

რა დღეშიც ვართ

# წინ, წარსულისკენ?

**გერმანელთა გამოკითხვის სენსაციური შედეგები გამოაქვეყნა გაზეთმა „ბილდმა“. აღმოჩნდა, რომ 20 წელზე მეტი ხნის შემდეგ, რაც ბერლინის კედლის დამხობიდან გავიდა, ყოფილი აღმოსავლეთ გერმანიის მოსახლეობის 80 პროცენტმა განაცხადა, რომ დღესდღეობით ისურვებდა ისეთ ქვეყანაში ცხოვრებას, როგორიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა იყო!**

ჟურნალისტებს თავდაპირველად ეგონათ, რომ ეს „ოსების“ (ასე უწოდებენ გერმანიაში აღმოსავლელ გერმანელებს) უბრალო ნოსტალგია იყო, მაგრამ, სრულიად მოულოდნელად მათ მხარი დაუჭირეს იმათაც, ვინც მთელი ცხოვრება დასავლეთ გერმანიაში გაატარა. **ყოფილ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეთა 72 პროცენტმა (!) აღიარა, რომ დღესდღეობით მათ სავსებით დააკმაყოფილებდათ გერმანიის სოციალისტური სახელმწიფოს სტანდარტები.**



გერმანიის მოსახლეობის 25 პროცენტი კი დარწმუნებულია, რომ ბერლინის კედელი ხელს არავის უშლიდა და ამიტომ მისი დანგრევა არ ღირდა. ამ რესპონდენტებმა ახსნეს, რომ **ქვეყნის გაერთიანების შემდეგ მათი ცხოვრების დონემ დაიწია.**

ასეთმა აღიარებებმა დააბნიეს როგორც ხელისუფლება, ისე ყოვლის მცოდნე პოლიტოლოგები, თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ ეს გდრ-ის ნოსტალგია კი არა, არამედ სოციალურ სიკეთეთა შენარჩუნების სურვილია.

რუსეთი-ევრაზიის ცენტრის დირექტორის ალექსანდრე რარის თქმით, რუსეთსა და გერმანიაში სოციალიზმი სხვადასხვანაირად ესმით.

— პირადად მე არ ვისურვებდი იმ სოციალიზმის ცხოვრებას, რომელიც სსრ კავშირის დროს იყო. მაგრამ ნურც ის დაგვავიწყდება, რომ სოციალიზმი სწორედ გერმანიაში წარმოიშვა XIX საუკუნეში! **გერმანელები ამაყობენ კიდეც იმით, რომ პირველი სოციალური რეფორმები ქვეყანაში კანცლერ ოტო ფონ ბისმარკის დროს გატარდა. სისტემა წარმატებით უკვე ას წელზე მეტია მუშაობს და მის ანგლო-საქსონურით შეცვლას, როცა მდიდარი კიდევ უფრო მდიდრდება, ღარიბი კი უფრო მეტად ღარიბდება, არავინ ფიქრობს. თუმცა, გერმანელებს მაინც ეშინიათ იმისა, რომ გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური წნეხის ზეგავლენით სოციალური შემწეობები შემცირდა, უმუშევრობა კი გაიზარდა.** ამდენად, ჩატარებული გამოკითხვის შედეგები — ეს არა გდრ-ისადმი რაიმე განსაკუთრებული სიმპათიების გამოვლენა, არამედ სოციალურ სიკეთეთა შენარჩუნების, თვითდაცვის სისტემის გამაგრების სურვილია.

აი, ასე ფიქრობენ, ბატონებო, გერმანელები, ამ „მურაბა“ ქვეყნის მოქალაქეები, სადაც მშვენივრად იციან ყველა ევროს თუ ცენტის ფასი, სადაც მოსახლეობის სოციალური დაცვა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა, სადაც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ეკონომიკა, მრეწველობა, საბანკო სისტემა და კიდევ უამრავი სხვა რამაა, რის მოხსენიება მხოლოდ უაღრესად აღმატებულ ხარისხში შეიძლება. ამასობაში, ჩვენ რას ვუვრებით, ქართველები, ვისაც „ბენდუქიძის“ სახელობის სოციალურ-ეკონომიკური ხომალდიდან შუა ზღვაში სამაშველო რგოლის გარეშე გადაგვიძახეს? ჩვენ, როგორც ჩანს, აღარც თვითდაცვის ინსტინქტი გვაქვს, თორემ ის რასაც გერმანელები „სოციალურ სიკეთეს“ უწოდებენ და რისი დაკარგვის პერსპექტივა ასე აშინებთ, ტკბილ სიზმარშიც არ გვინახავს არც ერთი ხელისუფლების დროს. უმუშევრობის დონის ზრდაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, რომლითაც სამხრეთ კავკასიაში პირველობას, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს არავის დავუთმობთ. ჩვენი „საარსებო მინიმუმი“ კი სხვა ქვეყნების „სამომხმარებლო კალათებთან“ ისეთივე შესადარებელია, როგორც დონ კიხოტისა და სანჩო პანსას ვახშამი ტრიალ მინდორში გარგანტუას ნადიმთან. თუმცა, საქართველოს უბრალო მოქალაქეები ნამდვილად ხელისუფალთაგან განსხვავებულნი არიან — ძლიერნი ამა ქვეყნისანი „უფასო კონცერტებით“ გვიმასპინძლდებიან, რომელთა ხარჯს ისევ ჩვენივე ჯიბიდან ეწევიან, „პურს“ კი თავად მიირთმევენ, თან დროდადრო „დამატებასაც“ ითხოვენ.

არავისთვისაა ახალი ამბავი, რომ სოციალიზმი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახეობისა იყო, მაგრამ დარწმუნებული ვართ, საქართველოში დღეს ობიექტური (და არა დაკვეთილი) სოციოლოგიური გამოკითხვა რომ ჩატარდეს, მოსახლეობის დიდი ნაწილი, გერმანელთა მსგავსად, პრიორიტეტს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ცხოვრებას მიანიჭებდა.

**დალი ხუნდაძე**

*P. S. ცოტა ხნის წინათ, პოპულარულმა რუსეთულმა გაზეთმა რამდენიმე ცნობილ პიროვნებას კითხვით მიმართა: მოისურვებდით თუ არა სოციალიზმში ცხოვრებას?*

***ირინა ჰაკამადა**, პოლიტიკოსი: — სოციალიზმს გააჩნია, როგორც ჩანს, გერმანელებს მხედველობაში აქვთ არა იმდენად ძველი გდრ, არამედ ახლანდელი ჩრდილოეთ ევროპა — ნორვეგია, შვედეთი. იქაც უფასო სამედიცინო მომსახურება, განათლება, სოციალური დახმარებაა. ამასთან, უზარმაზარი გადასახადებია, რომლებსაც მდიდრებს ახდევინებენ, მინისტრი კი შეიძლება მხოლოდ იმიტომ გადააყენონ, რომ მან ბოთლი „კოკა-კოლა“ სახელმწიფოს ხარჯზე იყიდა. ასეთი სოციალიზმი მომწონს. საბჭოური კი არ მომწონს, იმიტომ რომ, ეს სოციალიზმი კი არა, დაცინვა იყო.*

***სერგეი მირონოვი**, რუსეთის ფედერაციის სათათბიროს შრომისა და სოციალური პოლიტიკის კომიტეტის წევრი: — რა თქმა უნდა, მინდა! სხვათა შორის, სარკოზი, მერკელი, ობამა — ყველანი ახლა სოციალისტურ პრინციპებზე, ასევე იმაზე ლაპარაკობენ, რომ „ველურმა ბაზარმა“ არ გაამართლა. სხვათა შორის, მათი ანტიკრიზისული ღონისძიებები — ეს, უწინარესად, ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხთა დარეგულირებაში სახელმწიფოს როლის გაძლიერებაა.*

***გიორგი გრეჩკო**, კოსმონავტი, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი: — დიახ, მინდა, ოღონდ მას ადამიანის სახე უნდა ჰქონდეს. ნობელის პრემიის ლაურეატმა ჯინ ნეშმა დიდი ხნის წინათ დაამტკიცა, რომ სოციალიზმის დროს ეკონომიკა გაცილებით ეფექტიანია, ვიდრე კაპიტალიზმის დროს.*

*ამ კითხვას თქვენ როგორ უპასუხებდით, ბატონებო?*

***დ. ხ.***

ტრანსპორტი

*იმის თქმა, რომ საქართველოს მმართველ ელიტას თავისუფალი ბაზრის ერთ-ერთი მთავარი პირობის — თანაბარი კონკურენტული გარემოს შექმნა არ აინტერესებს, ფაქტობრივად, არაფრის თქმას ნიშნავს, იმიტომ რომ ის კი არაა მთავარი, თითქოს „არ აინტერესებს“, არამედ ის, რომ ამის კატეგორიული წინააღმდეგია. საკუთარი პოზიციის გასამაგრებლად „ძლიერებს ამა ქვეყნისა“ ცრუ არგუმენტები მოჰყავთ — თითქოსდა კონკურენტული გარემოს შექმნა სულაც არ არის თავისუფალი ბაზრის აუცილებელი პირობა, თავად კონკურენტული პოლიტიკა ზედმეტად ბიუროკრატიული ტვირთია, რომელიც განხორციელების პროცესში კორუფციის მაღალი რისკის მატარებელია და სხვ. ამიტომაც არის, რომ მას შემდეგ, რაც შარშან თებერვალში, ევროკავშირის დაჟინებული მოთხოვნით, 2004-2005 წლებში საქართველოს მთავრობის მიერ ჯერ სრულიად დაჩანაკებული, შემდგომ კი საერთოდ გაუქმებული ანტიმონოპოლიური სამსახურის ხელახალი შექმნის საკითხმა წინა პლანზე წამოიწია, მას შემდეგ, პრაქტიკულად, არაფერი გაკეთებულა. ამჟამად კი, თითქოს იმის მოლოდინია, რომ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ კანონი“ ამოქმედდება, მაგრამ, პირდაპირ უნდა ითქვას, იგი არა თავისუფალი ბაზრის, არამედ მხოლოდ სამთავრობო სტრუქტურების ანტიკორუფციულ ქმედებებს, მათ შორის ეკონომიკურ აგენტთა დისკრიმინაციას კრძალავს სახელმწიფო დახმარებების პროცესში. ამდენად, რაც შეეხება კონკურენციულ შეთანხმებებს მეწარმე ობიექტებს შორის (როგორც ჰორიზონტალურს, ასევე ვერტიკალურს), მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას და ა.შ., ეს კანონი, კარგად ამოქმედებულიც რომ იყოს, ასეთ გარიგებას მაინც ხელს ვერაფრით შეუშლიდა. ჰოდა, მით უმეტეს, ახლა სწორედ ის დროა, რომ ვისაც ამის ზურგი და მისი გაგრძელება აქვს, ყველაფრის გაკეთება შეუძლია, რითაც მშვენივრად სარგებლობენ კიდეც.*

# ოთხი პატრონის ერთი „მეწველი ძროხა“

წერილის პრეამბულა რამდენადმე ვრცელი კი გამოვიდა, მაგრამ თუ ბოლო დროს დედაქალაქის სატრანსპორტო ქსელში, კერძოდ კი სამარშრუტო ტაქსების სეგმენტში მომხდარ, ასევე ახლო მომავალში მოვლენათა მოსალოდნელ განვითარებას გავითვალისწინებთ, საქართველოში ანტიმონოპოლიური პრობლემის თითქმის სრულ უგულებელყოფას, შესაძლოა, მოსახლეობის ფენების უდიდესი მატერიალური დიფერენციაცია მოჰყვეს.

თბილისში უკვე ყველამ იცის იმის შესახებ, რომ წლეულს, ოქტომბრიდან, დედაქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტი ერთიანად გაყვითლდება — ავტობუსების დარად ახალი, სამი ათასზე მეტი სამარშრუტო ტაქსიც — კერძოდ, 16-ადგილიანი „ფორდ-ტრანზიტები“ — ყვითელი ფერისა იქნება. ეს ცოტა ხნის წინათ თბილისის მერიის თანამოქალაქეებზე უსაზღვროუკიდეგანო ზრუნვის შედეგია, რაც, ამ შემთხვევაში, უბრალო მოკვდავთა ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტით კომფორტულად გადაადგილების პირობების შექმნაა და არა ვინმე დაახლოებულ პირთათვის ხელში მსუყე ლუკმის ჩაგდების სურვილი, როგორც ამაში ხალხია დარწმუნებული. ამასთან დაკავშირებით, მერიამ ჯერ თავის „ჯიბის“ არასამთავრობო ორგანიზაცია „დაცულ მოძრაობას“, რომელსაც დავით მესხიშვილი უდგას სათავეში, სათანადო სოციოლოგიური გამოკვლევის ჩატარება შეუკვეთა, ხოლო წინასწარვე განსაზღვრული „შედეგების“ მიღებისთანავე სამარშრუტო ტაქსებით მგზავრთა გადამზიდავი კომპანიების ვითომდა „დასადგენად“, უმალვე ტენდერიც გამოაცხადა და გამარჯვებულებიც ხელადვე გამოავლინა.

ამ ტენდერში ოთხმა კომპანიამ — შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებმა **„თბილ ლანმა“, „ფაბლიქ ქარმა“, „თბილ ქარმა“ და „კაპიტალ გრუპმა“** გაიმარჯვეს (ისე, ამ შპს-ების „ნათლიების“ ვინაობაც საინტერესოა მრავალი მიზეზით!). მათგან სამი, ამ უკანასკნელის გამოკლებით, სწორედ რომ ამ ტენდერში „გასამარჯვებლად“, ერთსა და იმავე დღეს, 2010 წლის 17 დეკემბერს შეიქმნა ერთმანეთისგან გადაწერილი წესდების ტექსტებით, ხუთწუთიანი განსხვავებით საჯარო რეესტრში რეგისტრაციითა და მოსაკრებლის გადახდით და, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, **სატრანსპორტო სფეროში მუშაობის სრული გამოუცდელობით.** როგორც ამბობენ, მათ უკან მობილური კომპანიის „ბილაინის“ ერთ-ერთი მეწილე მერაბ შარანგია დგას.

ისიც უნდა ითქვას, რომ მართალია მერიაში აცხადებენ, რომ სამარშრუტო ტაქსებზე დღეს მომუშავე მძღოლთა ერთ ნაწილს მგზავრთა გადაზიდვის სათანადო კვალიფიკაცია არა აქვს, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ მღელვარების პრევენციის მიზნით, სათანადო კურსების გავლას სთავაზობენ, თან ეუბნებიან, სამუშაოს დაკარგვის სხვა საფრთხე არ გემუქრებათო. თქმა არ უნდა, სამარშრუტო ტაქსების მრავალი მძღოლი ქუჩაში ისე უწესოდ მოძრაობს, რომ ხალხის გადაყვანა კი არა, ზოგს შეშის გადატანაც უნდა აეკრძალოს წესით და



რიგით, მაგრამ იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ სადღეისოდ თბილისში დაახლოებით ექვსი ათასი სამარშრუტო ტაქსი მოძრაობს და კიდევ უფრო მეტი მძღოლია დასაქმებული (ერთმანეთის მონაცვლეობით მუშაობის პრინციპიდან გამომდინარე), უამრავი ხალხი უმუშევარი რომ დარჩება, ამაზე ორი აზრი არ არის. **ცალკე თემაა ეგრეთ წოდებულ სამარშრუტო ტაქსების ხაზების მეპატრონეთა საკითხი, რომლებმაც, ფაქტობრივად, თბილისში შეიარაღებული დაპირისპირების დასრულების შემდგომ ეს ბიზნესი შექმნეს და, სადღეისოდ, არამატერიალური რესურსის მფლობელები არიან, თუმცა თბილისის მერიას ისინი არაფრად მიაჩნია და ერთიანად ყველას ამ უფლებას აწერავს, მათ ოჯახებს კი ლუკმაპურს პირიდან აცლის.**

პუბლიკაციას ქვეყანაში თავისუფალი ბაზრის ანტიმონოპოლიური პრინციპების სრულ უგულებელყოფაზე ლაპარაკით ტყუილად არ დავიწყეთ: **რასაც თბილისის მერია გიგი უგულავას თავკაცობით დედაქალაქის სამარშრუტო ტაქსების სეგმენტში სჩადის, ბაზარზე მონოპოლისტების ხელოვნურად შექმნაა და სხვა არაფერი, ხოლო იმ ფულის ოდენობის გათვალისწინებით, რაც ამ სფეროში ტრიალებს, გასაკვირი სულაც არ არის.**

სადღეისოდ არსებული ინფორმაციით, სამარშრუტო ტაქსების სფეროში დასაქმებული მძღოლები, ხაზების მეპატრონეები და სხვა დაინტერესებული პირები, უახლოეს მომავალში დედაქალაქში ერთიანი ფრონტით გამოსვლასა და თავიანთი პროტესტის გამოხატვას გეგმავენ, თანაც აქციების გამართვას ერთჯერადად არ აპირებენ.

ამ დროს, თბილისის მერიაში ირწმუნებიან, რომ **გამარჯვებულმა კომპანიებმა, რომელთაგან თითოეულის კაპიტალი (არ გაგეცინოთ, პატივცემულო მკითხველო!)... 100 ლარს (?!) შეადგენს, 2011 წლის გამოშვების, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მიკროავტობუსები წარადგინეს.** ეს კი ავტომატურად იმას ნიშნავს, რომ დღესდღეობით თბილისში მოძრავი ყველა სამარშრუტო ტაქსი ოქტომბრიდან მოყოლებული ხაზებზე ვეღარ იმუშავებს.

ახალ მიკროავტობუსებში მგზავრობის საფასურის გადასახდელად ელექტრონულ სალარო აპარატებს დაამონტაჟებენ და, როგორც მერიაში აცხადებენ, სოციალურად დაუცველი პირები აქაც იმ შეღავათებით ისარგებლებენ, რომლებითაც სხვა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას სარგებლობენ. საგულისხმოა, რომ დანარჩენ მოკვდავთათვის მგზავრობის საფასურზე ჯერჯერობით არავინ ლაპარაკობს, მაგრამ, როგორც ერთ-ერთ გამოსვლაში ქალბატონმა თინა ხიდაშელმა აღნიშნა, სამარშრუტო ტაქსების ახალ პატრონებს (თუ ბატონს?) სრული შესაძლებლობა ექნებათ, რომ იგი საგრძნობლად გაზარდონ ისე, რომ სხვა საქალაქო ტრანსპორტი (მეტრო, ავტობუსი) უხერხული, დაუძლეველი კონკურენტი არ გაიხადონ. თანაც ყველაფერს მგზავრობის გაზრდილი კომფორტით, ვთქვათ, „ზამთარ-ზაფხულის“ კონდიციონერების სისტემებით მიკროავტობუსში სეზონის შესაფერისი ზომიერი ტემპერატურის შექმნის ხარჯით ახსნიან.

ამდენად, ხელისუფლებისა და მასთან დაახლოებულ პირთა მიერ მცირე ბიზნესის უკლებლივ ყველა სფეროს თავის გავლენის ქვეშ მოქცევის, მისი დაპატრონების ტენდენცია კვლავაც გრძელდება და თანდათან ძალასაც იკრებს.

**ოთარ ტურაბელიძე**

ჩოგბურთი

# „სამხრეთის თასზე“ გადაინაცვლა

**მიდლენდში (აშშ) ჩოგბურთელ ქალთა 100-ათასიან საერთაშორისო ტურნირზე ანა ტატიშვილმა ამერიკელ ჯემი ჰემპტონთან ერთად წყვილთა თანრიგში იყოჩაღა – პირველი ადგილი დაიკავა.** ასპარეზობის დამთავრების შემდეგ ანამ მემფისში „სამხრეთის თასზე“ (საპრიზო ფონდი 220 ათასი დოლარი) გადაინაცვლა. იქ უკრაინელ ოლგა სავჩუკს შეუწყვილდა. ინტერნაციონალურმა დუეტმა პირველი ეტაპი წარმატებით დაძლია – სარა ბორველსა (დიდი ბრიტანეთი) და მარ-ივ პელეტიეს (კანადა) აჯობა 6:2, 6:4.




მალიორკაში (ესპანეთი) დაიწყო საერთაშორისო ტურნირი (25 ათასი დოლარი), რომლის საკვალიფიკაციო ეტაპზე სოფიო ქვაცაბაია ჩეხ ივეტა გერლოვასთან დამარცხდა – 4:6, 4:6, ძირითად ბადეში სოფიო შაფათავამ უკრაინელ სოფია კოვალეცთან წააგო – 6:0, 0:6, 3:6.

წყვილთა ტურნირში მაკა ჩახნაშვილი-ქვაცაბაიას და შაფათავა-ეკა გორგოძის წყვილებიც ითამაშებენ.

**ლექსო ცინცაძე**

ჭადრაკი

# ქართული დესანტი ირანში



**გილიანში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში ერთბაშად 18 მოჭადრაკე ჩაება. უკვე გათამაშდა სამი ტური.** A ჯგუფში, სადაც უძლიერესი დიდოსტატები და საერთაშორისო ოსტატები მონაწილეობენ, უდანაკარგოდ სერგეი ვოლკოვი (რუსეთი) დაწინაურდა. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები აქვთ ლევან ფანცულაიას, დავით ბენიძეს, გაიოზ ნიგალიძეს, გიგა ყუფარაძესა და ივერი ჭილლაძეს. 2-2 ქულა მოაგროვეს კონსტანტინე შანავამ, საქართველოს 2011 წლის ჩემპიონმა დავით ზარქუამ, დავით ლომსაძემ, შოთა აზალაძემ, დავით მალალაშვილმა, ბაჩანა მორჩიაშვილმა და დავით ჯოჯუამ. მალხაზ სულაშვილმა 1,5 ქულას მოუყარა თავი.

D ჯგუფში ქალები ასპარეზობენ. აქ ბელა ხოტენაშვილსა და ნინო ბაციაშვილს დანარჩენ 4 მონაწილესთან ერთად 3-3 ქულა აქვთ.

**ლაშა დიდია**

წყალბურთი

# აქაც „ლიგამუსი“ და „ივერია“

**უკვე გაუწყეთ, რომ 1995-1996 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა საქართველოს პირველობის სტარტზე 3-3 მოგებით სპორტკლუბ „ივერიის“ და „ლიგამუსის“ გუნდები დაწინაურდნენ. მსგავსი სიტუაციაა უმცროსებშიც – 1997-1998 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა შორის.**



**I ტური.** „ლიგამუსი“ – „ტონუსი“ 27:2, „ივერია (1)“ – „თბილისი“ 22:2, „ბათუმი“ – „ივერია (2)“ 11:6, „ჯორჯია“ – „ქუთაისი“ 3:8.

**II ტური.** „ტონუსი“ – „ბათუმი“ 6:14, „ლიგამუსი“ – „ივერია(2)“ 22:3, „თბილისი“ – „ქუთაისი“ 11:2, „ჯორჯია“ – „ივერია (1)“ 0:10.

**III ტური.** „ტონუსი“ – „ივერია(2)“ 3:11, „ჯორჯია“ – „თბილისი“ 10:21, „ბათუმი“ – „ლიგამუსი“ 1:17, „ივერია (1)“ – „ქუთაისი“ 29:0.

**მეორე ეტაპის მატჩები 12-14 მარტს გაიმართება.**

**გივი გაგუა**

ფეხბურთი



# არის ასეთი გუნდი

**მთელი სეზონის განმავლობაში გვესმოდა, ნეტავ ვინ შეაჩერებს „ბარსელონას“ ძლევამოსილ სვლასო.**

**ამ კითხვას დადებითი პასუხი ლონდონის „არსენალმა“ გასცა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის პირველი მერვედფინალური მატჩი კატალონიურ გრანდს 2:1 მოუგო (ვან პერსი, არშავინი; ვილია).**

ეს გახლდათ ღირსეული მეტოქეების – არსენ ვენგერისა და ხოსეპ გვარდიოლას ტაქტიკური დუელი, რომელშიც „მეთოფეთა“ ოცწლიანმა თავკაცმა იმარჯვა.

მან სივრცეები მაქსიმალურად შეუზღუდა სტუმართა მრისხანე ნახევარმცველებს, რამაც მათი იერიშები განსაკუთრებით უმწეო შესვენების შემდეგ გახადა. რაც შეეხება პირველ ტაიმს, ხავისა და ინიესტას უჩვეულო პასიურობის ფონზე მხოლოდ მესი თუ ცდილობდა სიტუაციების გამწვავებას, თუმცა, რამდენიმე შანსი მანაც გაფლანგა.

მოგეხსენებათ, „ბროწეულისფერებთან“ თამაშის გახსნა და ტემპში აყოლა თვითმკვლელობის ტოლფასია. მართალია, ფრანგის შეგირდები ხანდახან ივიწყებდნენ ამ აქსიომას, მაგრამ შედარებით იოლად გადარჩნენ, უკანასკნელ წუთებზე კი კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ტრავმირებული პუიოლის არყოფნაში პრიმერადივიზიონის ლიდერის დაცვა საიმედოობით არ გამოირჩევა. თუ გავითვალისწინებთ, რომ დისკვალიფიკაციის გამო საპასუხო მატჩს პიკეც გამოტოვებს, ფავორიტის პერსპექტივები არცთუ ულრუბლოდ მოგვეჩვენება.




კიდევ უფრო უარესი, უფროსწორად – კატასტროფული. ასე შეიძლება შეფასდეს ის მდგომარეობა, რომელშიც „რომა“ საკუთარ მინდორზე დონეცკის „შახტართან“ მარცხის – 2:3 შემდეგ აღმოჩნდა (პეროტა, მენეზი; ჟადსონი, დუგლასი, ადრიანო).

ბრაზილიელებით დახუნძლულ დონბასელთა წარმატებას წონას ის ფაქტი მატებს, რომ მირჩა ლუჩესკუს გუნდმა შარშანდელი 8 დეკემბრის შემდეგ პირველი ოფიციალური შეხვედრა გამართა მაშინ, როცა იტალიაში გახურებული სეზონია და მანამდე რომაელები უშუალო კონკურენტებთან – „ინტერთან“ და „ნაპოლისთან“ შერცხვნენ. ასე რომ, ტოტის და კომპანიას კლაუდიო რანიერის გადასარჩენად დიდი ძალისხმევა დასჭირდება.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

## ობამამ სპორტსმენები დააჯილდოვა

**აშშ პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ თავისი ქვეყნის ყველაზე მაღალი სამოქალაქო ჯილდოთი – თავისუფლების მედლით დააჯილდოვა ლეგენდარული ამერიკელი კალათბურთელი ბილ რასელი და ყოფილი ბეისბოლისტი სტენ მოუზლი. ეს ჯილდო ენიჭებათ სამოქალაქო პირებს, რომლებსაც დიდი წვლილი აქვთ შეტანილი უშიშროების საქმეში ან ეროვნული ინტერესების რეალიზაციაში, მშვიდობის დაცვასა და კულტურულ საქმიანობაში.**

ბილ რასელი მთელი კარიერის განმავლობაში იყო „ბოსტონ სელტიქსის“ ცენტრალური თავდამსხმელი (1956-69 წლებში), რომლის შემადგენლობაშიც 11-ჯერ გახდა ნბა-ს ჩემპიონი, რაც აბსოლუტური რეკორდია კალათბურთელთა შორის. ის არის 5-გზის MVPHBA, 11-ჯერ შედიოდა სეზონის შედეგების მიხედვით შედგენილ სიმბოლურ ნაკრებში. ის შედის ასოციაციის ისტორიაში 50 საუკეთესო მოთამაშის სიაში, 1980 წელს კი მიიჩნიეს მსოფლიოს კალათბურთის ისტორიაში საუკეთესო მოთამაშედ. 1966 წელს გახდა „ბოსტონის“ მოთამაშე მწვრთნელი (ის იყო პირველი შავკანიანი მწვრთნელი აშშ პროფესიონალურ სპორტში. მწვრთნელის კარიერის დიდი დრო მან გაატარა „სიეტლ სუპერსონიქსში“ (1973-77), ოთხმოციანი წლების ბოლოს კი სათავეში ჩაუდგა „საკრამენტო კინგზს“. ბილ რასელი არის კალათბურთის დიდების დარბაზის წევრი.



ლეგენდარულმა ბეისბოლისტმა სტენ მოუზლიმ მთელი კარიერა გაატარა „სენტ-ლუის კარდინალზში“, რომლის შემადგენლობაში სამჯერ გახდა მსოფლიო სერიის გამარჯვებული, 24-ჯერ მონაწილეობდა „ვარსკვლავთა მატჩში“, გულშემატკივრების გამოკითხვით ის შეიყვანეს ყველა დროის სიმბოლურ ნაკრებში.

## არმსტრონგმა კარიერა დაასრულა




**დიდ ველოსპორტს ისევ გამოემშვიდობა პოპულარული მრავალდღიანი ველორბოლის „ტურ დე ფრანსის“ შვიდგზის გამარჯვებული, ამერიკელი ლენს არმსტრონგი. ადრე იმედოვნებდნენ, რომ 2011 წელს არმსტრონგი მონაწილეობას მიიღებდა კიდევ რამდენიმე რბოლაში და შემდეგ წავიდოდა სპორტიდან, თუმცა 39 წლის სპორტსმენმა ეს ნაბიჯი უფრო ადრე გადადგა. ასე რომ, მისი ბოლო რბოლა იყო წლევანდელი იანვრის Tour Down Under ავსტრალიაში, სადაც მხოლოდ 65-ე ადგილი დაიკავა.**

პირველად სპორტიდან წასვლის შესახებ არმსტრონგმა 2005 წელს გამოაცხადა „ტურ დე ფრანსზე“ მორიგი გამარჯვების შემდეგ. 2008 წელს კი ისევ დაბრუნდა, რათა ერთხელ კიდევ გაემარჯვა და მოეხსნა ცილისწამება, თითქოს ის დოპინგს იყენებდა.

თუმცა სასურველ მიზნებს ველარ მიაღწია. 2009 წელს ის მესამე ადგილზე გავიდა, 2010 წელს კი – 23-ზე.

საშინელი სენის – კიბოს დამმარცხებელმა არმსტრონგმა „ტურ დე ფრანსზე“ პირველი გამარჯვება 1999 წელს მოიპოვა, შემდეგ კი ის ექვსჯერ გაიმეორა.

## სექსუალური გულშემატკივარი

**რუმინეთში ყველაზე პოპულარული საფეხბურთო კლუბის „სტიაუას“ ყველაზე სექსუალური გულშემატკივრის და კიდევ სამშობლოში ყველაზე ცნობილი ქალის სახელისთვის დაუღალავად იბრძვის ლამაზმანი ადინა ბარბუ. ის ხომ შესანიშნავი მოდელია, შარშან კი აღიარეს ყველაზე დიდმკერდიან ქალად რუმინეთში.** მას სულაც არ რცხვენია სხვადასხვა კრიალაყდიან ჟურნალებში გაშიშვლებული გამოჩენა. ბოლო დროს ბარბუმ თავისი მშვენებანი წარმოაჩინა ფოტოსესიაზე ბუქარესტის ცენტრში მდებარე უცნაურ შენობაში, სადაც ახლა ფეშენებელური რესტორანია. თანაც მკერდსავსე მშვენებამ ერთბაშად ორი კურდღელი მოკლა: რეკლამა გაიკეთა თავისთვის და საზოგადოებრივი კვების დაწესებულებისთვისაც. ისიც უნდა ითქვას, რომ ადრინდელ ფოტოსესიებზე მას მუდამ ჰყავდა პარტნიორი – ხან არანაკლებ სექსუალური როქსანა პაპასი, ხან კიდევ თავისი და ლურია, მთლიანად გაშიშვლებისა რომ ერიდება.



მწერალი და ცხოვრება

# ოტია იოსელიანი კვლავ ბრძოლის ხასიათზეა!

შარშან, 2010 წლის ზაფხულში, ბატონ ოტია იოსელიანს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

„საქართველოს რესპუბლიკამ“ ყველას დაასწრო! – ჩვენს გაზეთში 15 ივნისს დაისტამბა წერილი ლამის თანასოფლელისა და უმცროსი მეგობრის, ცნობილი ჟურნალისტის ვილენ მარდალეიშვილის ინტერვიუ „კაცი სამრეკლოზე“, რომელშიც ჩვეული ენამწარობით, მაგრამ მოყვასისადმი სიკეთის სურვილით ნაკარნახევი, მწერლის მრავალი საინტერესო აზრია ჩაწნეხილი.



16 ივნისს, მწერლის დაბადების დღეს, გამოვიდა გაზეთ „წყალტუბოს“ მორიგი ნომერი, რომელიც მთლიანად იუბილარს მიეძღვნა.

წერილები სავსეა აღფრთოვანებული სტრიქონებით. დიდ-პატარა, ერი და ბერი, ერთმანეთს ეჯიბრებიან გულწრფელი სიყვარული გაუმხილონ მწერალს...

„– ფეხზე მდგომ მწერალთაგან, ალბათ, საქართველოში ვერავინ დაიკვეხნის, რომ ბატონ ოტიასავით სახელგავარდნილი იყოს, – ნამდვილად სახალხო მწერალი, საყოველთაო სიყვარულით გარემოსილი“, – წერს ჟურნალ „განთიადის“ მთავარი რედაქტორი ავთანდილ ყურაშვილი.

„– ყველა მწერალი, დიდი თუ პატარა, თავის თავს, თავის ცხოვრებას წერს. ყველა გმირი თვითონაა და ნაწარმოების ავიც და კარგიც მისი განცდილია“, – წერს ბატონი ოტია იოსელიანი თავის წიგნში – „ჩემი ასავალ-დასავალი“.

მისი პირველი საბავშვო მოთხრობების წიგნი „კარის მეზობლები“ 1957 წელს დაისტამბა.

1961 წელს გამოქვეყნდა რომანი „ვარსკვლავთცვენა“, რომელმაც უმალვე მოიპოვა პოპულარობა და მრავალ ენაზე ითარგმნა.

1973 წელს „ნაკადულმა“ „დაჩის ზღაპრები“ დასტამბა.

1976-88 წლებში „საბჭოთა საქართველომ დაბეჭდა რომანი „შავი და ცისფერი მდინარე“ ოთხ წიგნად.

ბატონი ოტია ოცამდე პიესის ავტორია. მისი პიესები საქართველოსა და საზღვარგარეთის ასზე მეტ თეატრში დაიდგა.

მისი ნაწარმოებები თარგმნილია რუსულად, უკრაინულად, ბელორუსულად, ჩეხურად, ესტონურად, ლატვიურად, ლიტვურად, პოლონურად, მოლდავურად, ესპანურად, ინგლისურად, ბენგალურად, ჰინდისა და ურდუს ენებზე, სპარსულად, არაბულად, ფრანგულად, გერმანულად, სომხურად, აზერბაიჯანულად, ჰოლანდიურად, ჩინურად, იაპონურად, ექვს მილიონამდე საერთო ტირაჟით.

* * *

**– ბატონო ოტია! დღეს საქართველოში მრავალი ლიტერატურული პრემიაა დაწესებული. თქვენი წიგნები სამ კარადაშიც აღარ ეტევა. ნუთუ, რომელიმე მათგანი არასოდეს წარუდგენიათ პრემიაზე?** – ვკითხე ერთხელ.

– ლაურეატობისა და ჩინ-მედლების მაძებარი არასოდეს ვყოფილვარ, – მითხრა ბატონმა ოტიამ – თუ მწერალი ხარ, და მკითხველი გყავს, სხვა რაღა გინდა?

ისე, ერთხელ ჩემმა ორმა მეგობარმა „დაჩის ზღაპრები“ პრემიაზე წარადგინა, მაგრამ მე ჟიურის წევრებისკენ გახედვას როგორ ვიკადრებდი. არადა, შენ თუ სახლში ზიხარ, და როგორც ახლა ამბობენ – არ მიდექ-მოდექი, ლაურეატობას ლანგრით ვინ მოგართმევს...

კიდევ კარგი, რომ მწერალთა კავშირში ბატონი ოტია იოსელიანი საიუბილეო წელს მაინც გაახსენდათ...

მასმედიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს მწერალთა დამოუკიდებელი კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით, სახელოვან ქართველ მწერალს ოტია იოსელიანს ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია მიენიჭა.

* * *

**დასასრულს, ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვაუწყებთ, რომ ბატონი ოტია უკვე სამი კვირაა, ავსტრიაში ბრძანდება, სადაც მკურნალობის მორიგი კურსი ჩაიტარა.**

დღეს ტექნოლოგიური სიახლეები აღარ გვიკვირს. არადა, „მობილური“ ამ საუკუნის ერთ-ერთი საოცრებაა!

სწორედ „მობილურის“ მეშვეობით, და მწერლის მენეჯერის, ქალბატონ თამუნა ლორთქიფანიძის დახმარებით, ყოველდღიურად ვიგებდით მწერლის ჯანმრთელობის შესახებ.

მადლი უფალს, როგორც ქალბატონმა გუშინ მითხრა, – ბატონი ოტია თავს შესანიშნავად გრძნობს, კვლავ ბრძოლის ხასიათზეა.

* * *

**ზემოთ გაზეთ „წყალტუბოს“ საიუბილეო ნომერი ვახსენე. ეს მცირე ინფორმაცია მინდა გაზეთში დასტამბული წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელთა სურვილით დავამთავრო – „ღმერთო მაღალო! კვლავაც მიეცი ძალა და მხნეობა, კვლავაც დალოცე და აკურთხე (ისედაც ათასგზის კურთხეულიძ შენი ღრმად მორწმუნე, ალალი გუთნისდედა, უბერებელი შემოქმედი“.**

**ამინ!**

ხვალ, ბატონი ოტია იოსელიანი ავსტრიიდან თბილისში ბრუნდება.

**ჯუმბერ ჯიშკარიანი**

სულთათანა

# დათო ესიავა



რა შეიძლება ვუწოდოთ ამას თუ არა უბედურება? ვაი, რომ უსამართლობაა, გაუსაძლისი ტკივილია ნაადრევი სიკვდილი...

ასეთი ტკივილით, ასეთი მწუხარებით არის მოსილი დღეს ქალაქი აბაშა. დათო ესიავას გარდაცვალებამ უზარმაზარი ტკივილი მოგვიტანა... საშინელებაა, როცა ხვდები, რომ არ შეგიძლია შეცვალო რეალობა, როცა ერთ წამში კიდევ ერთ საუკეთესო ადამიანს წაერთვა სიცოცხლე და შეუერთდა მარადისობას...

თითქოს ყველაფრის მოსწრება სურდა... ჭეშმარიტი ქართველი ახალგაზრდა, ზრდილი, განათლებული, დინჯი და პატიოსანი... ასეთი იყო ჩვენი დათო.

1979 წლის 23 თებერვალს დაიბადა სოხუმში, საშუალო სკოლა აბაშაში დაამთავრა, უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ მუშაობა დაიწყო ქ. აბაშის გამგებლის თანაშემწედ. 2006 წლიდან აირჩიეს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატად, რის შემდეგაც დაინიშნა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ.

კარგი მეგობარი, ყურადღებიანი, ერთგული თანამშრომელი, უწესიერესი ადამიანი.. ყოველდღე გვექნება მოლოდინი იმისა, რომ კვლავ აავსებს მისეული იმედით ახლობლებს, მეგობრებს... დათოს დედის, მეუღლის, ძმისა და ახლობლების თვალებში ჩაბუდებული ტკივილიანი სევდაა ცრემლით რომ გვივსებს გულს.

ჩვენ კარგად გვახსოვს ის ბედნიერი დღეები, როცა უბედურება შორს იყო და დათოს ქორწილიც ერთად ვიზეიმეთ ერთი წლის წინათ.

დრო გავა... დათოს ხსოვნა კი მარადიული იქნება, ჩვენგან დანთებული სანთელი მუდამ იციაგებს მისი სიყვარულისა და ხსოვნის სიმბოლოდ.

მეგობრების ჯგუფი

მარინა კანდელაკი, თენგიზ კალანდაძე, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია მწუხარებას გამოხატავენ
დათო ესიავას
ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

მეგობრის ხსოვნას

# ამირან ჯიმშელეიშვილი



რა ძნელი ყოფილა კარგი მეგობრის გამოსათხოვარი სიტყვის თქმა: არც ენა გემორჩილება, არც კალამი... არც იცი, საიდან დაიწყო.

ჩვენო ამირან, ძალიან გვატკინე გული... გაფუჭდა ჩვენი ისედაც ძუნწად დარჩენილი სიცოცხლის ხალისი.. დაგვრჩა მხოლოდ მოგონებები. მოსაგონარი კი იმდენია, რა დალევს... განსაკუთრებით ტელევიზიაში შინაარსიანი მოღვაწეობის პერიოდიდან... სწორედ ტელევიზიის კოლეგებს, არა ჩვენი სამეგობროს წევრებს, უკვირდათ კიდეც: ყოჩაღ თქვენ, კიდევ რომ აგრძელებთ მეგობრობასა და ურთიერთობას ამ ძნელ, პრობლემებიან ცხოვრებაშიო!

პრობლემები არც შენ გაკლდა შვილებითა და შვილიშვილებით მდიდარ ოჯახში, მაგრამ ჩვენს მეგობრულ შეხვედრებს წინ ვერაფერი დაუდგებოდა სწორედ შენი ინიციატივითა და თამადობით.

ძალიან დაგვაკლდება შენი მოსიყვარულე გული, დიდი ინტელექტი, განათლება და საუბრის მშვიდი, დარბაისლური მანერა...

პატარა საყვედურიც მოგვადგება ხოლმე ენაზე.

„გადააგდე ეგ ოხერი პაპიროსი“ – გემუდარებოდით და ამით ვებლაუჭებოდით შენი ლამაზი, კაცური სიცოცხლის თუნდაც რამდენიმე წლით გახანგრძლივების პირობას...

მაგრამ ვერც თამბაქოს გადაგაჩვიეთ და ვერც სიკვდილისგან დაგიცავით...

ჩვენო ამირან, ჩვენო ჯიგარო, „ამო“, დიდი მადლობა სიყვარულისთვის, ერთგულებისა და იმ მარადიული, ქართველ კაცში ყველაზე მეტად დაფასებული გრძნობისათვის, რასაც მეგობრობა ეწოდება!

შენი სამმო:

გერონტი (ცუგოძ ცაგარეიშვილი, ანზორ ხომერიკი, შოთა ბასიაშვილი, მანანა სარალიძე, კორნელი მექვაბიშვილი, კარლო ვაშაკიძე, ვანო გელაშვილი, ომარ ჩიტაია

---

მეუღლე ნინო ჯამარჯაშვილი, შვილები ალეკო, სოფო, დები ნათელა, სონია პეტრიაშვილები, რძალი თამუნა თათარიშვილი, სიძე გიორგი ქევხიშვილი, შვილიშვილები გიორგი, თემო, ქეთო, ნუკა, ნიკო, დისწულები ლაშა, ფატი შარაშენიძეები, ცოლისძმები ვაჟა, აჩიკო ჯამარჯაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თემო პეტრიაშვილი

პანაშვიდი 18, 19 II, 17 სთ. გამოსვენება 20 II, 14 სთ. მისამართი: იოსებიძის ქუჩა №53.

---

მეუღლე მადონა კაიკაციშვილი, შვილები ქეთევან, რუსუდან სისაურები, სიძეები ნუგზარ შოშიაშვილი, მიხეილ აბულაძე, არჩილ მოდებაძე, შვილიშვილები ვახტანგ სახოკია, ნინო, ლელა შოშიაშვილები, შვილთაშვილები, სიდედრი ნატო თოთიბაძე, ცოლისძმა მამუკა და უახლოესი ნათესავები იუწყებიან

ნიკოლოზ გიორგის ძე სისაურის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19 II, 16 სთ. მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №37, მე-7 სადარბაზო, ბინა № 147. დაკრძალვა 20 II, 14 სთ. საბურთალოს უფლის ამაღლების ეკლესიიდან.

---

მეუღლე ნანი ქუნთელია, შვილები ლელა, ლაშა ქუნთელიები, ძმა რეზო ქუნთელია, ძმისწულები კახა, კობა, მამუკა, ნუკრი, თეა, თამრიკო, ქეთინო, ნანა ოჯახებით, რძლები ლუბა, ლიანა, ლამარა ქუნთელიები, ცოლისდები მანანა, ნაზი სირბილაძეები ოჯახებით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან

დემურ ქუნთელიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18 II, 16 სთ. დაკრძალვა 19 II, 14 სთ. მისამართი: ნუცუბიძის მე-3 პლატო, I-ლი კვ. მე-9 კორ. მე-2 სადარ. მე-9 სართ. ბინა 52.

---

თენგიზ და ფოთოლა კალანდაძეები იუწყებიან ახლობლისა და მეგობრის

დემურ ქუნთელიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

თენგიზ და ფოთოლა კალანდაძეები სამძიმარს უცხადებენ რეზო ქუნთელიას ძმის

დემურ ქუნთელიას

გარდაცვალების გამო.

---

ჯამბულ და ვახტანგ წულაიები იუწყებიან მეგობრის

დემურ ქუნთელიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

## განცხადება

**2011 წლის 10 მარტს სს „სოფლმომარაგება“ მართავს აქციონერთა საერთო კრებას 11 სთ. მის. გარდაბნის რ-ნი, სოფ. ალთაკლია, დღის წესრიგი:**

1. 2010 წლის ანგარიში;
2. ს.ს. „სოფლმომარაგებას“ კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის შესაძლო რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები;
3. სხვადასხვა.

**სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

# ვულოცავთ კოლეგასა და მეგობარს



იგი ცხოვრებამ კი არ გამოჭედა ჟურნალისტად, არამედ ჟურნალისტად დაიბადა, ამიტომ ჟურნალისტობა მისი პროფესია კი არა, ბედისწერაა. ყოველთვის თავზეხელაღებული სიმამაცით შედიოდა ცეცხლსა და ტყვიის წვიმაში, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ტელემაყურებელს დღესაც ახსოვს მისი ბეწვის ხიდზე გავლილი რეპორტაჟები ჩერნობილის სარკოფაგიდან, ავღანეთის ცეცხლის ხაზიდან, მისი თითქოს სისხლმდინარე საგაზეთო რეპორტაჟები აფხაზეთის ომიდან... ის არ ალამაზებს და არ ამუქებს სურათს, იღებს და წერს იმას, რასაც ხედავს, რასაც გრძნობს. ამიტომ არის მისი ყველა ნაკალმარი ყავლგაუსვლელი, მუდამ ცინცხალი და საინტერესო.

ამ დამწყებივით მუდამ დაუზარელს და ნებისმიერი დავალებისთვის მზადმყოფს წლები ვერას აკლებს. მაგრამ ჟამთა სრბოლა ჯიუტად მარცვლავს კრიალოსანს და უკვე 75 წლისა მოყრილა გამოჩენილი ჟურნალისტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე არმაზ სანებლიძე. სადაც კი უმუშავია, ხელმძღვანელად თუ რიგითად, ყველგან ღვთივკურთხეული შემოქმედის სახელი დატოვა.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თავის ყოფილ მთავარ რედაქტორს, კოლეგასა და მეგობარს გულითადად ულოცავს დაბადების დღეს და კიდევ მრავალ წარმატებას უსურვებს ნაყოფიერ შრომასა და პირად ცხოვრებაში.

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

⊙ დაიჯესტი

# ჭრელ-ჭრელი ამბები



● დიდი ბრიტანეთის მთავრობა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის შესახებ მთელი რიგი კანონის გადასინჯვას აპირებს. ამის მიზანია ორივე სქესის წარმომადგენლებისთვის ტახტის მემკვიდრეობის ერთნაირი უფლებების მინიჭება.

● ხაბაროვსკელ 33 წლის ტატიანა მარდალოვას გოლიათი, სავსებით ჯანსაღი ვაჟიშვილი შეეძინა. პატარა მარლენის წონა 7,21 კილოგრამია, სიმაღლე – 67 სანტიმეტრი.

● სანქტ-პეტერბურგის ხელისუფლებამ გასტარბაიტერებისთვის... ანბანი გამოსცა. „დამწყები პეტერბურგელის ანბანი“ საქალაქო პროგრამის „კულტურული დედაქალაქის“ ნაწილი გახდა.



წიგნის შექმნის მიზანია ჩამოსულებს ის ენა შეასწავლონ, რომელსაც მხოლოდ პეტერბურგელები იყენებენ. მასში უამრავი საინტერესო ამბავია მოთხრობილი, რომლებსაც ფოტოსურათები, ნახატები, ასევე პუშკინის, ბროდსკისა და გუმილევის ლექსების ციტატები ახლავს.

● 2011 წლის 1 თებერვლიდან ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ დოკუმენტაციაში აკრძალულია სიტყვები „დედის“ და „მამის“ ხმარება. ამერიკელ მოხელეთა აზრით, გენდერული მოდიფიკაცია მოძველდა, ამიტომ ასე საყვარელ სიტყვებს „მამა“ და „დედა“ ამიერიდან „მშობელი № 1“ და „მშობელი № 2“ ჩაანაცვლებს.

● რატომაა, რომ ყველა პლანეტა სფეროს ფორმისაა, რატომ არ არსებობს, ვთქვათ, კუბის ფორმის პლანეტები? საქმე ის არის, რომ პლანეტების სფეროს ფორმა მათი ძალიან დიდი მასებითაა განპირობებული, რომლებიც მათ საკუთარი მიზიდულობის ძალის ზეგავლენით მიიღეს და რომლებიც მათი ჩასახვის მომენტიდან მოყოლებული ყალიბდებოდა. თანაც სფერო – ესაა ციური სხეულის ოპტიმალური ფორმა.

● „ვიკილიქსის“ შემქმნელის ჯულიან ასანჟის შესახებ ფილმს გადაიღებენ. ფილმის სცენარს საფუძვლად დაედება ავსტრალიელი ჟურნალისტის ენდრიუ ფაულერის წიგნი „მსოფლიოს ყველაზე სახიფათო ადამიანი“, რომელიც წლეულს გამოვა. ფაულერი ასანჟთან ყველაზე ცნობილი ინტერვიუს ავტორია, რომელშიც „ვიკილიქსის“ დამფუძნებელმა განაცხადა, რომ დამალვას აღარ აპირებს.

● კინოკომედია „დიქტატორი“, რომელშიც სადამ ჰუსეინის როლს სკანდალურად ცნობილი ავსტრიელი ტელეწამყვანი საშა ბარონი შეასრულებს, ეკრანებზე გაისად მაისში გამოვა. ფილმს საფუძვლად რომანი „ზაბიბა და მეფე“ დაედება, რომლის ავტორობას ერაყელ დიქტატორს მიაწერენ. 2000 წელს ერაყში გამოსული წიგნი ბესტსელერად იქცა.

● თურმე, ნუ იტყვით და ფასტფუდმა (ანუ სწრაფმა კვებამ), შესაძლოა ნეგატიურად იმოქმედოს თქვენს ინტელექტუალურ პოტენციალზე. ფასტფუდის მთავარი მდგენელია შაქარი, რომელსაც ფუნთუშებს, სასმელებს, საწებლებს და ა.შ. უმატებენ. ეს კი სისხლში შაქრის (გლუკოზის) დონის მკვეთრ ცვლილებებს იწვევს. თავდაპირველად იგი მკვეთრად იმატებს, შემდგომ კი, დაახლოებით ერთ საათში, ასევე მკვეთრად მცირდება. უბედურება ისაა, რომ თავის ტვინი გლუკოზას კუნთებივით სწრაფად ვერ ითვისებს – იგი თავის ტვინამდე უბრალოდ მიღწევასაც ვერ ასწრებს მანამდე, სანამ სისხლში მისი შემცველობა მაღალია. შედეგად, ჭამიდან ერთ საათში, კაცს არა მარტო კვლავ შივდება (რის შედეგად იგი კვლავ ჭამს, რაც გასუქებას იწვევს), არამედ მას აზროვნებაც უქვეითდება.

## ჰომოსექსუალიზმთან, ისევე, როგორც ნარკომანიასთან ბრძოლა კანონმდებლობით უნდა!

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა იოსებ კობზონმა კიევში ყოფნისას განაცხადა, რომ ესტრადაზე არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციასთან ბრძოლა კანონის დონეზე უნდა წარმოებდეს.

– ჩვენ მივიღებთ კანონს ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის აკრძალვის შესახებ, – აღნიშნა მან ჟურნალისტებთან შეხვედრისას, ხოლო რუსეთის „კომსომოლსკაია პრავდას“ კორესპონდენტთან საუბრისას კი, კერძოდ, თქვა:



– მიმაჩნია, რომ ჰომოსექსუალიზმი ნარკომანიასავით ავადმყოფობაა. მე არა ვარ „ცისფერთა“ შეურიგებელი მოწინააღმდეგე, ასეთი ნაცნობებიც მყავს, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ ჰომოსექსუალიზმში კარგი არაფერია. უწინ სხვა ფასეულობები იყო, ახლა უკიდეგანო სექსი და არჩევანის თავისუფლება მეფობს! ხშირად ხეირიანად ვერც გამირკვევია, თუ ვინ არის ზოგიერთი ახალგაზრდა (მან რუსეთული ესტრადის რამდენიმე ახალგაზრდა შემსრულებელი დაასახელა, თუმცა კორესპონდენტმა ისინი არ გაამხილა), რა სქესს წარმოადგენენ და ეს გულს მიკლავს.

## ვის რა დაუშავა „დიდმა კომბინატორმა“?

პიატიგორსკში ილია ილფისა და ევგენი პეტროვის რომანების „თორმეტი სკამისა“ და „ოქროს ვერძის“ უკვდავი გმირის ოსტაპ ბენდერის ძეგლი დაანგრიეს. 2008-ში კი ასეთივე სავალალო ბედი ეწია „თორმეტი სკამის“ მეორე პერსონაჟის, „თავადაზნაურობის თავის“ კისა ვორობიანინოვის ქანდაკებას.



რიცხვი „13“ ბრინჯაოს ოსტაპისთვის საბედისწერო გახდა.13-ში ვანდალებმა დიდი კომბინატორის ძეგლი, რომელიც პიატიგორსკში „ნაპრალის“ შესასვლელში იდგა, მიწაზე დაანარცხეს. ეს ქალაქიდან საკმაოდ მოშორებული ადგილია. ამიტომ მომხდარის შესახებ მხოლოდ მეორე დილით გახდა ცნობილი. ოსტაპს მთელი მხოლოდ... ფეხების ნაწილი შერჩა, დანარჩენი დალეწილი იყო. ახლა მილიცია დამნაშავეებს ეძებს, ძეგლი კი სარესტავრაციოდ გაგზავნეს. 2008 წელს კი არაკაცებმა ოსტაპის „მეგობრის“ კისა ვორობიანინოვის ძეგლს შეუტიეს. თან თავადმა ვორობიანინოვმა მაშინ ერთი ღამეც ვერ გაძლო – ძეგლის საზეიმო გახსნიდან მეორე დილას 300-კილოგრამიანი ქანდაკებიდან მხოლოდ ჩექმა, პორტფელი და შლაპაპა იყო შემორჩენილი.



საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთა გახსენება“ გულთბილად ულოცავს დაბადების 55 წელს დიდ ქართველ მამულიშვილს, სახელგანთქმულ ბიზნესმენს, ქველმოქმედსა და საზოგადო მოღვაწეს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს.

ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ოჯახისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ღრმა პატივისცემით,
ბონდო კობაძე,
ფონდის პრეზიდენტი,
„წმინდა ექვთიმე თაყაიშვილის“ პრემიის ლაურეატი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

⊙ ანეკდოტები

უფროსი მუდამ თავის დროზე მოდის სამუშაოზე იმ დღეს, როცა თქვენ აგვიანებთ, და აგვიანებს იმ დღეებში, როცა თქვენ თავის დროზე მოდიხართ.

* * *

აი დაიწყო XXI საუკუნის მეორე ათწლეული. სახლში 3 ტელევიზორია, 4 კომპიუტერი, 5 მობილური ტელეფონი და 1 წიგნი...

* * *

– მე რომ უცხოპლანეტელი მოვკლა, ჩამსვამენ?

– აუცილებლად ჩაგსვამენ საგიჟეთში!

* * *

– აი, მუდამ ასეა, მეხუთე ჭიქა კონიაკის შემდეგ საზიზღარ პირუტყვად იქცევი ხოლმე! – ეუბნება ცოლი ქმარს.



– მაგრამ მე ხომ არ დამილევია?

– მე ხომ დავლიე!

* * *

მაღვიძარა ზოგჯერ გაღვიძებაში კი გვეხმარება, მაგრამ უფრო მეტად ძილს გვიშლის.

* * *

სახელმწიფოს რამდენიც არ უნდა აჭამო, გასუქებით მარტო ოფიციალური პირები სუქდებიან.

* * *

არჩევნების უცხოელ დამკვირვებელთა ამოცანაა თვალის მიდევნება იმისთვის, რომ ხმები სწორად დაითვალონ. შინაურ დამკვირვებელთა მთავარი საზრუნავი კი ის არის, რომ კარგად დაითვალონ სწორი ხმები.

* * *

როდესაც ქალს არგუმენტები უთავდება, მუდამ იტყვის, რომ ქალთან ასეთი მოპყრობა არ შეიძლება.

⊙ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.